წელიწადი მეორე ფასი 5 კაპ. ოთხშაბათი, 10 მარიამობისთვე 1916 წ. № 177

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი [illegible] პეტიტის [illegible] კნელზე—10 [illegible] დებულ განცხადებათა [illegible] ქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 4 მ.; 20×2 ღირს მ., 25×2 ღირს 7 მ. 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ელ. 1 მ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

5 მარიამობისთვეს დილით გარდაიცვალა
ეკატერინე ივანეს ასული
## სარაჯიშვილისა

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძმანი მისი ვასილი და ადამ ივანეს ძენი ფორაქიშვილები.

პანაშვიდი—ყოველ დღე, საღამოს 7 საათზედ, განსვენებულის სახლში (სერგიევის ქუჩა, № 13).

გამოსვენება ხუთშაბათს, 11 აგვისტოს, დილის 9 საათზედ, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, სადაც გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი. დაკრძალვა—დიდუბის ეკლესიის გალავანში.

(3-291-2)

---

მოხელენი და მოსამსახურენი „დ. ზ. სარაჯიშვილის“ მთავარ-კანტორისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ გარდაცვალებას ფირმის დიდად პატივცემულისა და დაუვიწყარის პატრონისას
ეკატერინე ივანეს ასულის
## სარაჯიშვილისას

პანაშვიდი გარდახდილ იქნება ოთხშაბათს, შუადღის 12 საათზედ, განსვენებულის სადგომზედ, სერგიევის ქუჩაზე, სახლი № 13.

(2-292-2)

---

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო აუწყებს საზოგადოების წევრებს, რომ დღეს, 10 აგვისტოს, საღამოთი, სერგეევის ქუჩაზე (სახლი № 13) გადახდილ იქნება პანაშვიდი, საზოგადოების წევრის და ცნობილის ქველმოქმედის
ეკატერინე ივანეს ასულის
## სარაჯიშვილის
სულის მოსახსენებლად.

დასაწყისი პანაშვიდისა 7 საათზე. (1-209-1)

---

მოსკოვის ქართველთა საზოგადოება
მწუხარებით აუწყებს თვისი საპატიო წევრის
ეკატერინე ივანეს ასულის
## სარაჯიშვილის
გარდაცვალებას. (2—1)

---

ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის წინამძღოლთა და დეპუტატთა საკრებულო აცხადებს, რომ დღეს, 10 მარიამობისთვეს, საღამოს 7 საათზედ გადახდილი იქნება პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის ქველმოქმედის და საზოგადო მოღვაწის
ეკატერინე ივანეს ასულის
## სარაჯიშვილის
სულის მოსახსენებლად
პანაშვიდი გადახდილი იქნება განსვენებულის სახლში (სერგიევის ქუჩა № 13).

---

მწარედ დამწუხრებულნი დავით ილიას ძე გაბრუაშვილი და ალექსანდრა გიორგის ასული გაბრუაშვილისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფას დაუვიწყარ ვიმშო ასულის
თამარა დავითის ასულის
## გაბრუაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება 12 მარიამობისთვეს დილის 9 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში, იქიდან წმ. ნინოს სასაფლაოზედ, სადაც დაიკრძალება. მისამართი: კვირაცხოველთ 6, არხიპოვის ქუჩის შესახვევი, საკუთარი სახლი. პანაშვიდი ყოველ საღამოს 7 საათ.
(3—293—1)

## ხარფუხის საზოგადო კლუბი
(მიხეილის პროსპექტი № 131, საზაფხულო შენობაში)

ოთხშაბათს, 10 აგვისტოს, ✦ გაიმართება ✦
ქართული წარმოდგენა
სტუმრები საზოგადო წესით.

ხუთშაბათს, 11 აგვისტოს,
არშინ-მალ-ალან
სომხურ ენაზე.
დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
(1—208—1)

## თბ. ტრამვაის განცხადება
თბილისის საქალაქო ტრამვაი პატივცემულ საზოგადოებას სთხოვს, როდესაც უკვე ადგილს იჭერენ,
ფული მზად იქონიონ
რადგან ხალხით სავსე ვაგონში ყოველი დაკარგული წუთი მსვლელობას აგვიანებს და ზარალს აძლევს
ქალაქის კასას

## ახალი მელანი
კოტე ონიკაშვილისა
დავამზადე მელანი და ვყიდი შემდეგს ფასებში
ვინც ორ თუმანზე მეტს გამოიწერს შუშით (ფლაკონით) ღირება: გირვანქა—1 მ., $^1/_2$ გირვანქა—50 კაპ. $^1/_4$ გირვანქა—30 კაპ.
ვისაც ფუთობით ჰსურს გაიწეროს უფლაკონოდ ერთი ფუთი ღირს 35 მან.
გასაგზავნს ფასს ნახევარს ჩვენ ვიხდით. ფასდადებით მელანი გაეგზავნება, ვინც მესამედს ფასს წინადვე გამოგვიგზავნის.
✦ მსურველს მივაწვდი ჩემის მელნის ნიმუშს ✦
მისამართი: ქ. თელავი, კოტე ონიკაშვილი.

ღვინის საწყობი
## ნიკო გ. სესიაშვილისა
✦ იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი ✦
## კახური ღვინო
განოვის ქუჩა № 4.
—— სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა. ——
(185—წ.)

პირველ ხარისხოვანი რესტორანი
## კაფე პარიზი
ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.
(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)
სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში“ შეიძლება.
ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია

ყოველ დღე მზადდება
საუზმე, სადილები, ვახშმები
ჩაი, ყავა, ხაჭაპური, პიროჟკები
ადგილობრივი და უცხოური სასმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.
პატივისცემით სილ. ს. გიგიბერია.

## ვამზადებთ პიროგით
პრაპორშჩიკთა სკოლისათვის. მეცადინეობა დაიწყო. მსურველთა მიღება გრძელდება. პირადათ მოლაპარაკება ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე.
მისამართი: მოსკოვის ქუჩა, № 24. ბინა 1. (თ-128-15)

ექიმი
## გ. დ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან ხნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
## ახალი აფთიაქი
✦ პროვიზორის ახვლედიანისა ✦

დ. ზესტაფონში
ექიმი
## დ. კ. მაჭავარიანი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

ექიმი
## მ. ი. ვაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
## კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს თიბათვის 15-დან იღებს მანგლისში კორპუსის ბანაკში

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა
ექიმი
## ა. დ. შაჰპაზიანცი
ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. სად. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

## ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიევსკის ქუჩა, № 19.

ექიმი-დოსტაქარი
## გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

### თბილისი, 10 მარიამობისთვე.

**საქართველოს გაერთიანების ორგანიზაცია.**

კერპთ - თაყვანისმცემლობის აქეთ, ქართველის ეროვნება და სარწმუნოება დიდხანს განუყრელ ერთსახეობად იყო გადაქცეული. ქრისტიანობა და ამ ქრისტიანობის ფართე მდინარეობაში მართლმადიდებლობა ეროვნების განმამტკიცებელი და ქართველთა ყველა ტომის შემკრები და შემდუღებელი ძალა შეიქმნა. ერის დიდს სხეულში სარწმუნოების სხვა და სხვაობის უარსებობა ბედნიერება იყო იმ ხანებში, როდესაც სარწმუნოებას და მის ნიუანსებს ერთობ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ საქართველომ დიდხანს ვერ შეინარჩუნა ეს სარწმუნოებრივი ერთფეროვნება. საერთაშორისო ურთიერთობაში ჩაბმული საქართველო განიცდიდა სხვის გავლენას, ისე როგორც მის გავლენას სხვები განიცდიდნენ. მუდმივი ომი, რომელიც მისთვის ხან გამარჯვებით და ხან დამარცხებით მთავრდებოდა საქართველოს სულიერ სარწმუნოებრივ ცხოვრებაზე თვის ბეჭედს ასობდა და თვითმპყრობელი სარწმუნოება რყევაში მოდიოდა და იძულებით ადგილს მეორეს უთმობდა. სხვა და სხვა დროსა და სხვა და სხვა პირობებში, საქართველოს ერთმა ნაწილმა დაჰკარგა მრავალი საუკუნის ქრისტიანული კულტურა და ქრისტიანობა და შეითვისა მაჰმადის რჯული. უფრო მცირე ნაწილმა მართლ-მადიდებლობას გადაუხვია და შეითვისა კათოლიკობა და გრიგორიანობა. ბევრად უფრო ადრე ქართველების ერთმა ნაწილმა ისრაილობა მიიღო. და სარწმუნოების მხრივ ამგვარად დატოვებული ქართველობა თავ-თავის სარწმუნოებაში უფრო და უფრო იკეტებოდა და იმკვიდრებდა. სარწმუნოებრივად განსხვავებული საქართველოს ნაწილები ერთი მეორეს შორდებოდა. წინედ რომ თვითმპყრობელი მართლმადიდებლობა აერთებდა მართვა-გამგებლობის მხრივ განცალკევებულ ქართველთა ტომებს, ეხლა, ამ მხრივ გაერთიანებულ საქართველოს სარწმუნოებრივი სხვა და სხვაობა ქაქსავდა. ეს ახალი შექმნილი პირობა სულიერ-კულტურულად საქართველოს მოდგმით მთლიანობას არღვევდა. სარწმუნოებამ ეროვნობის სინონიმობის ხასიათი დაჰკარგა. სარწმუნოებამ ეროვნობა ინაცვალა. ამ მხრივ საქართველოს ყველაზე მეტი ზიანი მაჰმადის რჯულმა და გრიგორიანობამ მოუტანა. მუსულმანი ქართველობა თავის-თავს თურქად სთვლიდა, ხოლო გრიგორიან ქართველს თავისი თავი სომეხი ჰგონია. სარწმუნოების სხვა და სხვაობა ეროვნების მთლიანობის დამარღვეველად გადაიქცა. გაუნათლებელ წრეში სარწმუნოებამ ეროვნებაზედ გაიმარჯვა. ასეთია დღევანდელი საქართველოს ვითარება. ამას დაფარვა და დამალვა არ უნდა. პირიქით ეს უნდა ყველამ შევიგნოთ და დროის შესაფერი ღონისძიებანი მივიღოთ. ველარ მივანდობთ ჩვენი ქვეყნის ბედს გარემოებათა სტიქიურ მსვლელობას. ეს ყველაზედ უფრო ადვილი იქნება, მაგრამ ამავე დროს ჩვენი დამღუპველი და საბოლოოდ გამანადგურებელიც. ჩვენი მომავალი შეუძლებელია ისე, თუ არ მოხდა მთელი ქართველობის ჯერ პსიხოლოგიურ-ეროვნული გაერთიანება და მერე საზღვრებრივ-სახელმწიფოებრივი. ახალი ლოზუნგი და ახალი მცნებაა ხალხში გასატანი და გასავრცელებელი, ის რომ სარწმუნოება ერთია და ეროვნება მეორე, რომ ქართველი ყოველთვის ქართველია, მუსულმანია იგი, მართლმადიდებელი, გრიგორიანი, კათოლიკე თუ მოსეს რჯულისა,—რომ ქართულის სარწმუნოებრივი სინიდისი თავისუფალია და რომ მას შეუძლიან თავის საყვარელ ღმერთს ემსახუროს. ქართულ ეროვნულ-კულტურულ და სახელმწიფოებრივი ცნება სარწმუნოებისაზე მაღლა უნდა ვაღიაროთ. ყოველი ქართველი უნდა დარწმუნდეს, რომ საქართველოს ცის ქვეშ ყველა ღმერთი თანასწორია და ყველა სარწმუნება ტოლტოლი. ეს იდეა ჩვენი რენესანსის, აღორძინების დედა-საძირკველია. მის გარეშე შეუძლებელია შეჰქმნა ძლიერი, კულტუროსანის საქართველოის. ამავე დროს ეს იდეა უაღრესად შეფარდებულია თანამედროვე კულტურის სამოქმედო პროგრამასთან. ამ იდეის მეთოდიური და სისტემატიური პროპაგანდა ჩვენი მოქმედების უმთავრესი და უპირველესი საგანი უნდა იყოს.

ამ მიზნით უნდა დაარსდეს საქართველოს გაერთიანების ორგანიზაცია, სადაც თავს მოიყრიან საქმის სურვილით აღძრული დ მომქმედი ქართველი ინტელიგენტები.. ამ ორგანიზაციას სხვა და სხვა, მაგალითად სამუსულმანო, საგრიგორიანო, საებრაელო და სხვა კომიტეტების კავშირის სახე ექნება. თითეული კომიტეტი იმუშავებს თვის ერომორწმუნე მოძმეთა შორის სარწმუნოების სრულ შეწყნარებისა და გამაგრების ნიადაგზე მთელი საქართველოს ეროვნულ-პსიხოლოგიურად და კულტურულად შედუღება-გაერთიანებისათვის. გაერთიანების იდეა დღეს მეტად პოპულიარია ქართველ საზოგადოებაში. შეგნებული და შეძლებული ქართველობა გასწევს მოვალეობა-მეცენატობას, რომ ამ მიზნით დაარსებულ ორგანიზაციას ნაყოფიერი მუშაობა შეაძლებინოს სამშობლოს სადიდებლად. ყველა ვგრძნობთ, რომ დღეს ქართველ ერში ხდება საკეთილო პსიხოლოგიური „გარდატეხვა“. აღვნიშნოთ ეს იშვიათი მომენტი ისეთ ორგანიზაციის დაარსებით, რომელმაც უნდა განახორციელოს ახალი საქართველოს სამარადისო ზრახვა და მისწრაფება.

## პრესის მაგიერი

„თანამედროვე აზრი“ გამოეხმაურა **ძველი ქართველის** წერილს, რომელიც, ჩვენი გაზეთის 175 ნომერში იყო მოქცეული. იმის მაგიერ, რომ მეპრესეს დაერღვია ბ-ნი **ძველი ქართველის** მთავარი აზრი, რომ საქართველოს ეკლესიის უფლების აღდგენისათვის ბრძოლა ევალებოდა ყოველ ქართველს, რადგანაც იგი ეკლესია, საუნჯე მთელი ქართველი ხალხის ნივთიერ-სარწმუნოებრივ-ქონებრივ შემოქმედებისა, გაპარტახდა და გავერანდა მას აქედ, რაც დაჰკარგა უფლება თავის თავის მოვლა-პატრონობისა. თუ ვიწამებთ ქართული ეკლესიის ნამსახურობას, თუ ვიწამებთ იმას, რომ ქართველი ხალხი დღეს ურჯულო და უღმერთო არ არის, რომ მას სარწმუნოება უნდა, თუ არ გვინდა განიბნეს ეკლესიის განძეულობა, არამედ იგი საშვილიშვილოდ შენახულ იქმნას, ქართულ ეკლესიის შემოსვა ავტოკეფალურ უფლებით აუცილებლად უნდა აღიარებულ იქმნას. მაშინ ამ უფლებისთვის ბრძოლა სავალდებულო იქნებოდა ყოველ ქართველისათვის რწმენის მიუხედავად. „აზრს“ ან ეს დებულება უნდა მიეღო და საქართველოს უფლების დაცვისათვის ხმა ამოეღო, ან გარკვევით ეთქვა, რომ მას ქართული ეკლესია არ აინტერესებს, არც როგორც ქართველი ხალხის სარწმუნოებრივი მხურვალების კერა, არც როგორც საქართველოს ეროვნული სახის შემნახველი საუკუნეთა განმავლობაში, არც როგორც ძვირფას განძეულობათა საცავი, რომელიც ჩვენი კულტურის ნივთიერი საბუთა,—ეთქვა ეს ხმა მაღლა მიუკიბ-მოუკიბავად. **ეს უნდა იცოდეს იმ საქართველომ, რომელიც თავის უფლების აღდგენისთვის იბრძვის.** როდესაც „აზრი“ ამას იტყოდა, მაშინ „უფლება“ „ექნებოდა“ საქართველოს ეკლესიის უფლების აღდგენის წინაამდეგ თავისი „დემოკრატია“ გამოეყვანა (?!). ამის მაგიერ „აზრი“ გვეუბნება: „იგი (ე. ი. ძველი ქართველის წერილი) ამტკიცებს, რომ „საქართველო“ ბურჟუაზიის დროშას ღირსეულად ვერ იცავსო“... მეტია კამათი ასეთ მოპირდაპირესთან.

საკითხი ასეა დაყენებული: გავამართლოთ საქართველოს ეკლესიის უუფლებობა და მისი გავერანება-გატიალება, თუ დავგმოთ უუფლებობა და მთელმა ქართველობამ, როგორც ერ-

თმა კაცმა დაიცვას მისი უფლება. და „აზრი" სწერს „საქართველო" ბურჟუაზიის დროშას ღირსეულად ვერ იცავსო!!" საბრალობელი პასუხი!

აქ რა შუაშია ბურჟუაზია ანუ პროლეტარიატი! ეს არის გონების დაბნელება და შაბლონის ბატონობა, რომელსაც ბ-ნი **ძველი ქართველი** ასე სამართლიანად გმობდა თავის წერილში. „აზრი" გამოდგომია „façon de parler"-ს ძებნას და ყოვლად უშნოდ გვიწერს: „საქართველო" ყველას არწმუნებს, რომ საქართველო მას ლაღიძის წყალზე უფრო უყვარსო". ეს ისეთივე უშნო, უკულტურო და უადგილო თქმაა, როგორიც იქნება, მაგალითად, „აზრის" მეპრესეს ერთი გირვანქა ვაქსი შეუჭამიაო... აბა ამაებით როგორ უნდა შელახოთ ქართველი მკითხველი საზოგადოების გემოვნება და l'esprit de finesse"!

## სომეხთა როლი საქართველოში

ვისაც სომეხთა წარსულში ჩაუხედნია, დაინახავდა სომხის ერის მეტად თავისებურ ხასიათს. სომხის ხალხი მამაპაპეულ სამკვიდრებელს შედარებით ადვილად სტოვებს და იხიზნება ოთხივ კუთხივ. ამ ხალხს თითქოს არ ჰყოფნისო სამშობლოს სიყვარულის სიმტკიცე, რომ თავისავე ქვეყანაში აიტანოს თავის დატეხილი უბედურება. [illegible] ვის ძალით იძულებით ხდება, უკვე სომხის ხალხის ნებისყოფის დამოუკიდებლივ, დღესაც სომხის ხალხის ფსიხიკისა და გრძნობის სიღრმეში დავინახავთ მოხსენებულ თავისებურ თვისებას. ხოლო ამას უფრო ექსპრესიულად ამხელს და ამჟღავნებს სომეხთა წარსული, რომელიც დამშვიდებით და აუღელვებლივ გადაიფურცლება და რომელიც ცოცხალი ტანჯვის ჰიპნოზით გულცივ ანალიზის დასკვნას ვერ გადაგათქმევინებს. სომხის ხალხის მთელს თითქოს ეროვნული კავშირი სუსტი აქვსო, თითქოს ეროვნული დუღაბი აკლიაო. მართლაც, სომხის ხალხის მთელი ადვილად სქდება და განიპობა. ნაწილი ადვილად სწყდება ეროვნულ დედა-სხეულს და აქეთ-იქით იპნევა და უცხოთა შორის, უცხო ქვეყანაში „ეძიებს სადგურს". აქ მოსატანი არ არის ის ხანა, როდესაც ხალხი, ჯერ კიდევ ბინადრობას და დამჯდარ კულტურას დაუჩვეველი, ადგილიდან ადგილზე გადადის, როდესაც მას არც კულტურულ-სულიერი მოტივი აკავშირებს განსაზღვრულ ადგილთან და არც ნივთიერ-ქონებრივი. ამ ხანაში ყველა ხალხი ერთ მაგალითს იძლევა და, მაშასადამე, არც რომელიმე მათგანის განსაკუთრებულ თვისებაზე შეიძლება ლაპარაკი. სახეში გვაქვს უკვე ღრმად ფესვებწასული ცხოვრება სახელმწიფოებრივის ორგანიზაციით შეკრულ სამშობლოში.

ამ მხრივ დამახასიათებელია სომეხთა ეგზოდი, სომეხთა აყრა და ნებსით წასვლა სხვა და სხვა მხარეს, ჯოგ-ჯოგად, აგერ მეთერთმეტე და მეთოთხმეტე საუკუნეებში, ჯერ სელჯუკების მიერ დიდი სომხეთის სატახტო ქალაქის დამხობისა და მერე კი კილიკიაში მათი სახელმწიფოს საბოლოო განიავების შემდეგ. შინაგან მამჰიდროვებელ ძალას მოკლებული სომხობა მოედო მთელ წინა და საშუალო აზიას ჩინეთამდე და ხმელთა შუა ზღვის ნაპირებამდე. რამდენიმე ათასი სომეხი გაექცა სპარსთა შევიწროებას და ინდოეთში გადაიხიზნა, უმთავრესად ჯულფიდან, რამდენიმე ათასი აფრიკაში იმყოფება. ასეა საქართველოში; სპარსეთსა და მის მიდამოებში გაბნეულია ასიათასამდე სომეხი. რუსეთში უკავკასიოდ სომხობა ბინადრობს სხვა და სხვა ადგილას. ყირიმსა [illegible] ვლის შემცვლელ [illegible] დაექცა უცხოთა შორის უშწეოდ შერჩენილ სომხობას. ეს სულისკვეთება ჩრდილავდა ყველა დანარჩენს და რომ ამან თავის ნაყოფი გამოიღო, დღეს არავის ეეჭვება. სომხობის ამ ძირითადმა გათვითმპყრობელებულმა ხასიათმა სხვა და სხვა შედეგი მოსიტანა მის შემფარველ ქვეყანებს, იმის და მიხედვით, თუ რა ნაირი იყო ამ უკანასკნელის პოლიტიკური ვითარება. სომხობა არავითარ ხიფათს და საშიშროებას არ წარმოადგენდა თავისუფალ და სუვერენულ ქვეყნისთვის. პირიქით, მისთვის ერთნაირი სარგებლობაც კი მოჰქონდა, მით უმეტეს, რომ ეროვნულად სრულიად ითქვიფებოდა მკვიდრებში. ასე იყო საქართველოში, ვიდრე იგი დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო. შემოსული სომხობა სრულიად გაქართველდენ და საერთოდ საქართველოს ცხოვრებით სცხოვრობდნენ. მაგრამ მას აქეთ, რაც საქართველომ ეს დამოუკიდებლობა დაჰკარგა, გაქართველებულ სომხებშიაც გაიღვიძა საკუთარმა ეროვნულმა იდეალმა. ეს იდეალი უფრო შეურიგებლის სახით შემოიტანეს უკანასკნელ დროს ჩამოსულმა სომხებმა. საქართველოს საზღვრებში დაიბადა სომხეთის აღდგენის იდეალი და ნამდვილი პოლიტიკურ-ეროვნული მიზან-შეწონილი მოქმედება გაჩაღდა. „დაპყრობის" პოლიტიკა ტერიტორიიდან თვით ამ ტერიტორიის მკვიდრ ქართველებზე გადავიდა და დღეს ქართველ გრიგორიანების წართმევას გვემუქრება.

პოლიტიკურად დამოკიდებულ ერში იგი პირდაპირ ანტისოციალურ და ანტი-ეროვნულ როლს თამაშობს. ეს საერთო კანონია მზგავს პირობებში შეყრილ ორი სხვა და სხვა ეროვნების ურთიერთობისა. ყველა ის, რასაც სომხობა საქართველოს ართმევს, მიწა-წყალი იქნება იგი, თუ გრიგორიანი ქართველი, მკვდარი საქონელი, თუ ცოცხალი, აუცილებელი ფაქტორია ჩვენი ქვეყნის მთლიანი აღორძინებისათვის. ყოველი მტკაველი მიწის დაკარგვა და ყოველი გრიაგორიანი ქართველის გასომხება—ჩვენი ქვეყნის [illegible]

Homo novus.

## ეროვნული ვითარება

**გერმანეთი და ზავი.** [illegible] ამას წინად ციურიხის გაზეთ „Volksrecht"-ში დაიბეჭდა მოწოდება ზავის პირობების შესახებ, ხელმოწერილი ისეთ ცნობილ გერმანელ სახელმწიფო მოღვაწეთა მიერ, როგორიც არიან თავმჯდომარე სამიწათმოქმედო კავშირისა ბეკი, ბაირეტის ქალაქის თავი ფონ-კასელმანი, პროფესორები კირშენშტეინერი, კრეპელინი, მდივანი მუშათა ქრისტიანულ კავშირისა გეპერი, აგრეთვე აგრარიების და ნაციონალ ლიბერალების ბელადები: მოწოდებაში საგულისხმო მოთხოვნილებანია წარმოდგენილი; მაგალითად, მოხსენებულია, რომ ზავის ჩამოგდებისას უნდა ბელგეთში მოისპოს ფლამანდიელთა ეროვნული უფლებობა; რუსეთმა უნდა თავი დაანებოს იმ განაპირა კუთხეების მფლობელობას, სადაც ველიკორუსები არ სახლობენ: რუსის ქვეშევრდომ გერმანელთ უნდა აუნაზღაურონ რაც კი წაგება ნახეს ამ ბოლო ხანს, მათ ნება უნდა დართონ რუსეთიდან გასვლისა. პოლონელთა საკითხი ისე უნდა გარდაწყდეს, რომ გერმანეთი საბოლოოდ უზრუნველ იქმნ ს აღმოსავლეთიდანო. („რ. ვ." № 179).

**საერთაშორისო ზავის კონგრესის** შესახებ საყურადღებოა იტალიელ ჟურნალ „Nuova Antologia"-ს რედაქტორის, სენატორ ფერრარისის შეხედულებანი; ფერრარისი მსჯელობს ასე: მომავალი საერთაშორისო საზავო კონგრესი რომ შესდგეს, უნდა გამოირკვეს, საგანი მისი მუშაობისა და მის შემადგენლობას. რა იქნება კონგრესის საგანი?—ზავის პირობები?—მაგრამ, მათ რა კონგრესის მსჯელობა სჭირია? რომელი მხარეც გაიმარჯვებს საბოლოოდ, ის თვითონ შეადგენს ზავის პირობებს. აქ რა მოსატანია ბჭობა და კამათი: გამარჯვებულნი უბრძანებენ, დამარცხებულნი შეასრულებენ. რაც შეეხება კონგრესის შემადგენლობას — ეს კიდევ უფრო გაუგებარია. თუ კონგრესს მარტო მეომარნი სახელმწიფონი დაესწრობიან, ეს ხომ გამარჯვებულთა და დამარცხებულთა უბრალო კრება იქნება, რათა დამარცხებულთ მოისმინონ და ხელი მოაწერონ გამარჯვებულთა ნებისმიყოლით. ვსთქვათ, განზემდგომი (ნეიტრალი) სახელმწიფონი დაესწრებიან კონგრეს . მერე ვინ უნდა მოიწვიონ? ყველას ხომ ვერ მოიწვევენ, [illegible] ბის სახელმწიფონი რიცხვით სჭარბობენ გერმანეთის მოკავშირეთ, მარტო ინგლისის ახალშენებში რამდენი ცხოვრობს?—ან და შეიძლება, სახელმწიფოთა მიხედვით მოხდება კენჭის ყრა: მაშინ ხომ განზე მდგომ—ნეიტრალი სახელმწიფონი იქნებიან კონგრესის ბატონები? ასე რომ, დაასკვნის დამწერი, მომავალი საერთაშორისო ზავის კონგრესის მოწყობა მეტად ძნელი და რთული საქმეა, ანდა სრულიად შეუძლებელი. ზავის შემდეგ ყოველნაირი კონგრესი მოეწყობა სხვა და სხვანაირ საკითხების გამოსარკვევად, მაგრამ მათ არაფერი საერთო არ ექნებათ იმ საერთაშორისო ზავის კონგრესთან, რომელსაც ყველა მოელის.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

მდ. სტოხოდზე დაწყებული ბრძოლა თითქოს უფრო მკაცრ ხასიათს იღებს. გუშინდელ ოფიციალი დეპეშის ცნობით შეტაკება ეხლა უკვე სხვა ადგილებშიც დაწყებულა. არა ერთხელ მიგვიქცევია მკითხველის ყურადღება ამ მდინარის მნიშვნელობაზე და გაგვიმარტავს, თუ რა სტრატეგიული მნიშვნელობა ექნება მოპირდაპირესთვის, რომელიც აქ საგრძნობლად გაიმარჯვებს და დამკვიდრდება. შეიძლება ჰინდენბურგმა განზრახ ფართო დემონსტრაციებიც დაიწყოს იმ მოსაზრებით, რომ შეაჩეროს რუსეთის ჯარის წინსვლა გალიციაში. ამავე დროს კარპატებიდან ავსტრიელები ისევე განაგრძობენ შეტევას და ცდილობენ ეს ფრთა გენ. ლეჩიცკის ჯარისა საგრძნობლად შეაწუხოს.

ფრიად საინტერესო ცნობებია მოსული ბალკანეთის ბრძოლის ასპარეზიდან. ბულგარელებს შეტევა დაუწყვიათ მოკავშირეთა ჯარის წინააღმდეგ და გადაულახავთ ნოსტოსი. ამავე დროს მათ უგდიათ ხელში საბერძნეთის ფორტები: ლისსა და სტარასკუ. გარდა ამისა ბრძოლა გაჩაღებულა მონასტერის სამხრეთით ბულგარელებსა და სერბიელთა შორის. ცხა- [illegible] რუსების ხელსაყრელად სწარმოებს.

X.

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა**

**პეტროგრადი**, 8 მარიამობისთვე. მდ. სტოხოდზე ტობოლჩერვიშჩეს რაიონში ბრძოლა გრძელდება. რუსებმა რაოდენადმე წინ წაიწიეს. ამ რაიონში 5—6 მარ. რუსებმა ტყვედ წამოიყვანეს 16 აფიცერი და 1350 ჯარისკაცი. დავლად დარჩათ 1 ზარბაზანი, 18 ტყვიისმფრქვეველი, 4 ყუმბარისმფრქვეველი, 4 პროჟექტორი, მრავალი ზარბაზნის ტყვია, თოფები და სხ. ლუმაშევის რაიონში რუსთა ზარბაზანმა ჩამოაგდო მტრის ჰაეროსტატი. ნადვორნის დასავლეთით რუსები წინ იწევენ. რამდენიმე მაღლობი აიღეს კიდეც. კუტის შემოგარენებით [illegible] მა აიღეს სოფ. დერესკული და ბაბლონიცა. მტრის კონტრ-იერიშები უნაყოფოდ ჩაიარა.

**კავკასიის ფრონტი.** დიარბექირის მიმართულებით ბრძოლა გრძელდება. რუსებმა სიმაღლეები აიღეს. რამდენიმე ტყვე წამოყვანილ იქმნა.

**ათინა**, 7 მარ. დღეს ბულგარეთის ელჩმა განუცხადა ზაიმისს: ბულგარეთმა ლაშქრობა განაახლა და სტრატეგიულის მოსაზრებით ბერძენთა მაკედონიის საგულისხმიერო პუნქტები დაიჭირაო. გაზეთების სიტყვით ეს მოხდა იმიტომ, რომ ამით გავლენა მოახდინონ რუმინეთზეო. ბულგართა იერიშები ვითარდება. რუპპელის სიმაგრეში მყოფმა ჯარებმა აიღეს დემირგისარი, რომელიც ბერძნებმა წინდაწინვე დასცალეს. მონასტირიდან გამოსულმა ჯარებმა აიღეს ფლორინი.

**პარიჟი**, 7 მარ. ოფიციალი. 6 მარიამობისთვეს კავალის მიმართულებით ბულგარებმა სრულიად მცირე ძალებით აიღეს ნოსტორი, შემდეგ აქედან გაემართნენ კავალისა და სტრუმის მიმართულებით და აიღეს ბერძენთა სიმაგრენი ლისა და სტარასკუ. ვარდარის დასავლეთ ნაპირებზე საშინელი საარტილერიო სროლაა, განსაკუთრებით ნაინდადის რაიონში. მონასტირის სამხრეთ რაი- [illegible] ბრძოლა ბულგართა მხრიდან. ფლორინიას გარშემო ბულგართა 6 ბატალიონმა შეუტია სერბთა ჯარებს, მოგლენიცის ღელესთან, მაგრამ დიდი ზარალით უკუგდებულ იქმნენ. დოირანის ველზე დიდი სისხლის ღვრაა სოფ. დოლზედის გამო, რომელიც ფრანგებმა აიღეს 3 მარიამობისთვეს. ბულგარელები მიხვდნენ ამ პოზიციის სტრატეგიულს მნიშვნელობას და ამიტომ არასა ზოგვენ მის ხელში ჩასაგდებად. ფრანგები მამაცურად იბრძვიან. ბულგარელები მთელს ფრონტზე აიშალნენ და იერიშით წამოვიდნენ, ამათ წინასწარ უსწრეს მოკავშირეთა ფართო შეტევას. ინგლისელებმა იერიშს იერიშით უპასუხეს და ხელის სასროლი ყუმბარებით, ბულგართა თხრილები გაანადგურეს. ბერძენთა ჯარებმა დასტოვეს დემირ-ჰისარი. ამბობენ,

# მიწის უფლებისათვის ბრძოლა გურიაში

თავი II

**აგრარული მოძრაობა 1902-4 წლებში. დიდი აგრარული გაფიცვა. გენ. სმაგინის ექსპედიცია. გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი და სომხები. კრიმ-გირეის მოგზაურობა. გლეხთა წარმომადგენლების ნალაპარაკევი და მომავალი მოქმედების პროგრამა.**

(გაგრძელება. იხ. „საქართველო" № 174)

კავკასიის უმაღლეს მთავრობის პრაქტიკულ პოლიტიკაში ასანიშნავია ერთი ნაბიჯი, რომელიც გადაიდგა გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის მეფის ნაცვლად დანიშვნისთანავე. ერთის მხრით მის წინაშე იდგა ფაქიდად ქმნილი სომეხთა მოძრაობა საეკლესიო საკითხების გარშემო და მეორეს მხრით დასავლეთ საქართველოს მანამ უჩინარ კუთხეში მზადდებოდა ნიადაგი მთელ ამიერ კავკასიაში საშიშარ აგრარულ მოძრაობისათვის. ორთავე ამ მოძრაობას, განსაკუთრებით სომხებისას, უკვე გარკვეული სახე ჰქონდა მიღებული როცა გრ. ვორონცოვ-დაშკოვი საქართველოს სატახტო ქალაქს მეფის ნაცვლის მაღალი უფლებით და წოდებით ეწვია. გრაფის პოლიტიკური კურსი ნათლად გამომჟღავნდა სომეხთა საეკლესიო მამულების დაბრუნების ცნობილ აქტში, ხოლო აგრარული მოძრაობა ჯერ კიდევ შესასწავლი და გამოსარკვევი იყო. ამიერ კავკასიის მოძრაობა უმთავრესად წარმოადგენდა ქართველთა მდგომარეობის გამოძახილს, თუმცა ნამდვილი საერო წყლული და საჭიროებანი არ მჟღავნდებოდა მომქმედ პოლიტიკურ პარტიის მიერ თავის მოღვაწეობის ვიწრო ფარგლებით შემოსაზღვრისა გამო. ორი უმთავრესი ერის—ქართველთა და სომეხთა უკმაყოფილება ვორონცოვის თვალში ორ სხვა და სხვა მოწინააღმდეგე ცნებას შეიცავდა და მის გამგებლობაში იყო, თუ რომელს მათგანს დააკმაყოფილებდა არსებულ წესწყობილების კანონთა კოდექსის ფარგლებში. მაგრამ მოხდა კიდევ მეტიც. სომეხთათვის საეკლესიო მამულების დაბრუნების დიდმნიშვნელოვანი აქტი უკვე პეტროგრადში უმაღლესად გარდაწყვეტილი იყო და მზა-მზარეული იდო მეფის ნაცვლის პორტფელში. ვორონცოვ-დაშკოვის მოსვლა და სომეხთა სადღესასწაულო პროცესიები ყველას ახსოვს. ყველას ახსოვს. აგრეთვე ბ-ნ „სიტყვას" მიერ წარმოთქმული მხურვალე პატრიოტული სიტყვა სომეხთა საკრებულო ეკლესიის ვანქის გალავანში. ქართველი ინტელიგენცია ეზიარა მეზობელ ერის სიხარულსა და ალტაცებას. ქართველი ხალხი მუდამ სხვისი მიმღები და შემთვისე თავის ბუნების და ტრადიციების წინააღმდეგ წავიდოდა, რომ ასე არ მოქცეულიყო. ქართველი ინტელიგენტი უაღრესად კოსმოპოლიტია, ხოლო ესევე არ ითქმის სომხის ინტელიგენციაზე. ამის მაგალითს იმავე ვანქის ტაძრის გალავანში მომხდარი კრება მოწმობს. ბევრმა ორატორმა ილაპარაკა ამ კრებაზე. სომხის ერის დიდი ხნით დაგუბებულმა ფიალამ გამოსავალი ჰპოვა. ლაპარაკობდნენ უმაღლესი აქტის დიად მნიშვნელობაზე, ყველას ეჩმიაძინისაკენ ეჭირა თვალი, იქითკენ იყო მიქცეული მთელი ერის გულისყური და მისწრაფება. სხვა საკითხები დაჩრდილა სადღესასწაულო შემთხვევამ და როცა ვიღაც სომეხ სოციალისტმა მოინდომა ლაპარაკი და შეეცადა დაეგმო სომხის ერის კლერიკალური მიდრეკილების საერო მოძრაობად გასაღება, ის მაშინვე ტრიბუნიდან ჩამოაგდეს და ქვებით კინაღამ არ ჩაჰქოლეს. ეს მოხდა 1905 წელს, რომელიც ვგონებ, ყველა ჩვენთაგანს ახსოვს და აგონდება. სომხის ერი დაკმაყოფილდა მომხდარ ცვლილებით და ამის შემდეგ ოფიციალ მთავრობას მორჩილება და ნდობა გამოუცხადა. ყველა ეს კი მოხდა საეკლესიო საქმეების მოწესრიგების გარშემო, რითაც კლერიკალური ინტელიგენცია მდგომარეობის მესვეური და ბატონ-პატრონი შეიქმნა. რას ფიქრობდა გრ. ვორონცოვ-დაშკოვი გურიაში დაწყებულ აგრარულ მოძრაობის შესახებ. ეს კითხვა მრავლის მხრით საინტერესოა, ვინაიდან გრაფის უკანასკნელ მოწოდებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ უმთავრესი მისია—გართულებულ აგრარულ მოძრაობის ჩაქრობა—ღირსეულად შესრულებულ იქმნაო. ამასვე აღნიშნავდნენ სომხური „კავკაზსკოე სლოვო" და „ტიფლისკი ლისტოკი", როდესაც გრაფის მოღვაწეობას რეზიუმე გაუკეთეს.

სომეხთა ეროვნული ხასიათის მოძრაობის მინელებისა და სრულ ლიკვიდაციის შემდეგ, გრ. ვორონცოვ-დაშკოვი შეუდგა სოციალ ხასიათის მოძრაობის საქმეთა მოწესრიგებას, რომელიც მას უმთავრესად ქართველთა საერთო მიდრეკილებად და იდეალად მიაჩნდა. ამიტომ სულ ერთი არაა— თუ ვინ განაგებდა ამ დროს ხალხის ბედ-იღბალს და რომელი პოლიტიკური მიმართულების დროშის ქვეშ სწარმოებდა ეს მოძრაობა. გრაფის უმთავრესი ყურადღება გურიამ მიიპყრო. აქ რაღაც საშიშარი რამ მზადდებოდა, რომლის ნამდვილი ხასიათი გამოურკვეველი იყო თვით ქართველ ინტელიგენციისათვისაც კი. გაიგზავნა იქ საგანგებო დავალებით მეფის ნაცვლის სამოქალაქო ნაწილის თანაშემწე **კრიმ-გირეი**, რომლის მოგზაურობა საზღაპრო ამბად არის დარჩენილი გურიაში. ეს პირველი მაგალითი იყო გურიის მიდამოებზე ასეთ დიდ მოხელის მიერ ფეხის შემოდგმისა. მაგრამ გაკვირვებას იწვევდა თვით გარეგნული სანახაობა ამ მოგზაურობისა. კრიმ-გირეი ხალხის რწმუნებულთა თანხლებით უამალოდ დადიოდა სოფლიდან სოფელში და არკვევდა გლეხთა მოძრაობის ხასიათს. ამ გარემოებამ მეტად დააინტერესა ხალხის მოკეთენი და დიდი მოხელის დასახვედრად თადარიგს შეუდგნენ. რა არ გინდოდათ, რომ არ ეთქვათ კრიმ-გირეისათვის ხალხის სახელით მოლაპარაკე ორატორებს. „ჩემს კუთნეულ მიწაზე რომ დავწვე, თავი და ფეხები სხვის მამულში დამირჩებაო", ამბობდა ხიდისთაველი გლეხი. განებივრებული მოხელე ხშირად მოსწრებულებასაც მიმართავდა ხოლმე. ერთ ადგილას მან სთქვა: „რა გაღელვებთ, აქ ისეთი ჰაერი ყოფილა, რომ კაცი უმპადოდაც კი გასძლებსო". გლეხთა წარმომადგენელებმა იმ წამსვე დაურიდებლად გაუსინჯეს ფასი ასეთ ხუმრობას: „თუ ასეა, მობრძანდით და თვით თქვენ სცადეთ—როგორია ჰაერით ქვებაო". შვიდამდე საზოგადოება მოიარა კრიმ-გირეიმ. ყველგან ერთი მეორეზე გულის მომწყვლელ სურათებს უშლიდნენ თვალ წინ საგანგებო მინდობილების მოხელეს, ყველგან საერთო ჩივილი გლეხკაცის უუფლებობაზე, გადასახადებსა და მოხელეთა თავგასულობაზე. ლაპარაკის ხასიათი ყველგან საერთო იყო. თვითეული მოლაპარაკე სპეციალ მიწის სივიწროვისა და გადასახადების სიმრავლეთა გამო გამოწვეულ გაჭირვების აღწერას ზედ მიაყოლებდნენ: „ჩვენ მარტონი არა ვართ, ჩვენთან ერთად იბრძვის რუსეთის პროლეტარიატიო".

რვა საათის სამუშაო დღე, გადასახადის შემოსავლის კვალობაზე დაწესება და სხვა მრავალ პროგრამულ მოთხოვნილებათა რიგში სამწუხაროდ ერთი სიტყვითაც ნახსენები არ იყო წმიდა **ეროვნული** ხასიათის საჭიროებანი. რაღაც უბადრუკი „ეროვნული თვით გამორკვევაც" კი მაშინ დასელთა ლიტერატურაში იმდენად პოპულიარული არ იყო. გლეხთა წარმომარგენელნი ბევრს ლაპარაკობდნენ სწავლა-აღზრდის საჭიროებაზე, მაგრამ რა დებულება, ან მეტოდი უნდა მოეთხოვა ქართულ სკოლას, ამის შესახებ კრინტიც არ ისმოდა არსაიდან.*) სწავლა-აღზრდა და განათლებას რუსეთში ზომიერი ლიბერალებიც ხომ მოითხოვენ და იქ ამ მოთხოვნას პოლიტიკურ ფრაზეოლოგიაში არ ხვევენ, როგორც გლეხთა სახელით მოლაპარაკე ორატორები სჩადიოდენ. მაშ რა იყო ეროვნული ამ მოძრაობაში? სწარმოებდა ბრძოლა, ათობით და ასობით მსხვერპლს იწირავდა და ამავე დროს გლეხთა რწმუნებულნი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ჩვენთან ერთად იბრძვის მსოფლიო პროლეტარიატიო. თვით ეს რწმუნება, რომ დაწყებული მოძრაობა სეპარატიულ მიდრეკილებად არ ჩაეთვალათ, მოწმობს, რომ გურულთა მოძრაობა უაღრესად ეროვნული იყო.*) ის წარმოშვა ქართველი გლეხის განსაკუთრებულად სოციალ-ეკონომიურმა მდგომარეობამ. რუსის გლეხი აქ მოსატანი არაა. 6—15 დესეტინა მიწასა, რომელიც წილად ხვდა განთავისუფლების დროს რუსის გლეხს და 2—4 დესეტინას შორის არსებითი განსხვავებაა, იმდენად დიდი, რომ აქ შეუძლებელია ლაპარაკი რაღაც საერთო გრანდიოზულ ბრძოლის წარმოებაზე და ურთიერთის დახმარებაზე. ქართველი დასელები არწმუნებდნენ გურულ გლეხს, რომ შენთან ერთად ტაიგა-ტუნდრის ციმბირელი გლეხიც იბრძვისო. ამ შეუსაბამო ტყუილის ღირებულება დღეს აშკარაა. მოძრაობის დროს მხოლოდ მოსკოვ-პეტროგრადი სჩანდა, დანარჩენ ადგილებში

---

*) როგორც ვიცით, იმ დროს გურიის დასელთა მოთხოვნილება 1881 წლის სამოსწავლო გეგმის დებულებას არ გასცილებია.

ავტ.

*) პატივცემული ავტორის ეს უკანასკნელი წინადადება იმ აზრით არის მისაღები, უკეთუ ავტორი გულისხმობს, რომ ამ მოძრაობის წარმომშობი იყო საქართველოს მიწადმფლობელობის ადგილობრივი, თუ შეიძლება ითქვას, წმიდა ქართულ-ეროვნული თავისებურობა. თორემ გურულების მოძრაობა რომ ეროვნულ-პოლიტიკურ იდეალს სრულიად მოკლებული იყო და მათ რომ საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური უფლების არც დარდი ჰქონდათ და არც შეგნება, ამას აშკარათ მოწმობს დასელთა განსაკუთრებით იმ დროინდელი ლიტერატურა და პროპაგანდა-აგიტაცია!

რედ.

ბერძნებმა მხოლოდ მცირეოდენი წინააღმდეგობა გაუწიეს წინ მავალ მოლაშქრეებსაო. ბულგართა მფრინავებმა ყუმბარები ჩამოყარეს დანიკისა, გავალიცის და გევგელიცის რაიონებში.

**პარიზი**, 8 მარიამობისთვე. სომის ჩრდილოეთით ფრანგებმა აიღეს ტყისა მორეპის შუა 6—77 მილიმეტრიანი ზარბაზანი. მთელს ფრონტზე ღამით სასტიკი საარტილერიო სროლა იყო. მაასის მარჯვენა ნაპირზე შეღამებისას გერმანელებმა მოიხმარეს ფლერთან ცეცხლის მომდები სითხე. იერიში შეჩერებულ იქნა. მტერს საკმაო ზარალი მოუვიდა.

**პავრი**, 7 მარ. დიქსმიულეს მიმართულებით მთელი დღე და ღამის განმავლობაში სასტიკი საარტილერიო სროლაა.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

**პოლონეთის დამოუკიდებლობა.**

გერმანელთა მინისტრებმა შეიმუშავეს პროექტი პოლონეთის დამოუკიდებლობის შესახებ. ტექსტს პროკლამაციის სახით ჯერ გამოუშვებენ ვენაში. მანიფესტს ხელს აწერენ ვილჰელმი II და ფრანც-იოსები. პროკლამაციის გამოშვება მოხდება ამ ახლო მომავალში.

**გერმანელთა ახალშენები.**

სამხედრო მთავრობის განკარგულების თანახმად გერმანელთა ახალშენელები გარდაასახლეს ლუცკისა, დუბენისა და კრემენეცკის მაზრებიდან. ჯერ-ჯერობით გარდაუსახლებიათ 3,000 კაცი, დანარჩენთ ავსტრიელებთან ერთად მოუსწვრიათ წასვლა. გერმანელთა ქონება სხვა და სხვა კომისიას უყიდნია, ხოლო თვით ახალშენები რუსეთის აღმოსავლეთის გუბერნიებში გაუსტუმრებიათ.

**ლლორდ ჯორჯის სიტყვა.**

ინგლისელებმა მოკავშირეებს აუარებელი სამხედრო მასალა დაუმზადეს. იმედი გვაქვს, მომავალში მეტს მივაწოდებთ. ინგლისელებს ჯერ კიდევ თავიანთ მაქსიმუმი ძალა არ გამოუჩენიათ სამხედრო წარმოების სფეროში, მაგრამ იმედი გვაქვს, თანდა-თანობით გავაუმჯობესებთ, ვიდრე სახელოვნად არ დავამთავრებთ ამ ომსაო. თემთა პალატა, უეჭველია, შეძრწუნდებოდა, რომ სცოდნოდა რა პირობებში დავიწყეთ ბრძოლა. ინგლისელები მივხვდით ჩვენს შეცდომას და ამან დაგვაყენა სწორე გზაზეო.

**ინგლისელი მუშები.**

თემთა პალატამ 45 ათასი კაცი სამხედრო ბეგრიდან გაანთავისუფლა, რომ ესენი ჩააბან სამხედრო მასალის სამუშაოდ. გასულ წელს ქარხნებში მუშაობდა 835 ათასი კაცი. წელს კი ეს რიცხვი გაიზარდა 2,250 ათასამდის. ამათ შორის 400 ათასი ქალია.

# უკანასკნელი დეპეშები

ინგლისის ესკადრას და ოთხს სხვა სამხედრო ნავს შეუნიშნავს, რომ ჩრდილოეთის ზღვაში მოწინააღმდეგეთა გემები გამოჩენილან ექვს მარიამობისთვემდე და თავგამოდებით უმოქმედნიათ.

—

გერმანეთის ოკეანეს ფლოტი ზღვაში გამოსულა, მაგრამ გერმანელ მზვერავებს შეუტყობინებიათ, რომ მახლობლად ინგლისელების ძლიერი ფლოტი სდგასო, ბრძოლისთვის მხარი აუქცევია და ნავთსაყუდარს შეჰფარებია.

—

მოწინააღმდეგეთა ფლოტის დევნის დროს წყალქვეშებისაგან ინგლისელებს დაუკარგავთ 4 მსუბუქი კრეისერი.

—

ინგლისელებს ერთი წყალქვეშა დაუღუპავთ, ფიქრობენ, რომ მეორეც დაღუპული უნდა იყოს.

—

გერმანელების ცნობით, ვითომც მათ ინგლისელების კონტრ-ნაღმოსანი და ჯავშნოსანი დაეღუპოთ, ინგლისის მთავრობა არ ადასტურებს.

—

ბოტმერის ბრძოლაში გერმანეთის და ავსტრიის ჯართან ერთად ოსმალთა ჯარიც იბრძვის.

—

18 მარიამობისთვეს, ფრანც იოსების დაბადების დღეს პოლონეთის მანიფესტი გამოცხადდებაო.

—

პეტროგრადის გაზეთი „რეჩი“ ამბობს: სომაზე გამარჯვებით მოკავშირენი სხვა ფრონტზე დაიწყებენ ბრძოლას, შესაძლებელია ბელგეთის ან შამპანის მიდამოებში, საიდანაც გერმანელებმა საგრძნობელი ჯარი სხვა ფრონტზე გადაიყვანესო. ამბობენ, გერმანელებმა არ იციან მოკავშირეები ამ ჟამად რომელ ფრონტზე მიიტანენ იერიშებსო, ამიტომ გერმანელებმა თავისუფალი მეომრები, რომელმიც ვერდენთან და სომაზე იბრძოდნენ, ჯარის ზურგს უკან ყველა ფრონტზე საბრძოლველად მოამზადესო.

—

თეირანიდან იტყობინებიან, სეფეხტარის კაბინეტი თანამდებობიდან გადადგებაო და მის მაგივრად გერმანელებისგან წამოყენებული მუსტაფა-მამალეკი დაიჭერს ადგილსაო. რუსეთის და საფრანგეთის მისია ამის გამო სპარსეთის ვითარებას დიდის გაფაციცებით თვალყურს ადევნებსო.

—

ვოლფინმა შტიურმერი ინახულა და საქართველოს საეგზარხოსოს სამღვდელოებისათვის შემწეობა სთხოვა. შტიურმერმა განუცხადა, რომ ამ საკითხს მინისტრთა საბჭოს კრებაზე შევიტან განსახილველადაო.

# მოლაშქრეთა ჯარში გაწვევის გადადება

დეპეშა.

(პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან)

ხელმწიფე იმპერატორმა ინება, გადადებულ იქმნას პირველი და მეორე ხარისხის მოლაშქრეთა ჯარში გაწვევა, დანიშნული ამ თვის 15-სათვის და გაიწვიონ 25 მარიამობისთვეს 1905, 1904 და 1903 წლის მხოლოდ მეორე ხარისხის მოლაშქრენი. (ლურჯ ბილეთიანები).

# ახალი ამბავი

ეკ. ივ. **სარაჯიშვილის** გარდაცვალების გამო ქალაქის მოურავის მოადგილემ 9 მარიამობისთვეს ქალაქის გამგეობის საგანგებო კრებას აუწყა ეკ. სარაჯიშვილის გარდაცვალების ამბავი და ის უხვი შეწირულება, რომელიც ქალაქს უანდერძა განსვენებულმა. გამგეობამ დაადგინა: 1) შეამკოს განსვენებულის კუბო გვირგვინით, 2) დეესწროს მთელი შემადგენლობით, 3) მომავალი საქირურგო პავილიონს დაერქვას განსვენებულის სახელი, 4) დაარსდეს სტიპენდია მომავალ პოლიტეხნიკუმში და 5) პირველსავე კრებაზე საბჭოს მოხსენდეს ეს ამბავი.

— კავკავის ქალაქის თვითმართველობამ დეპეშით სთხოვა თბ. ქალაქის მოურავის მოადგილეს, შეამკოს განსვენებულ ეკ. სარაჯიშვილის კუბო გვირგვინით დაკრძალვის დღეს.

— გენ. ყაზბეგმა სამძიმრის დეპეშა გამოუგზავნა წ.-კით. საზ. გამგეობას და განსვენებულ ეკ. სარაჯიშვილის ძმას.

— პანაშვიდები ყოველ დღე სრულდება განსვენებულის კუბოსთან.

**◆ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭომ** მიიღო რა მხედველობაში ეკატერინე ივანეს ასულის სარაჯიშვილის გარდაცვალების ამბავი, დაადგინა: დაესწრონ პანაშვიდებს, მიიღონ მონაწილეობა დაკრძალვაში და ნაცვლად გვირგვინისა გადადოს მუზეუმის ასაშენებელ თანხისათვის 100 მან.

**◆ ბრძოლა ხოლერის წინააღმდეგ.** ექიმი იგიტიანცი, საგუბერნიო ექიმი ქიქოძე და ხარაზოვი ავჭალასა და გლდანში გაემგზავრნენ. დაწვრილებით გასინჯეს ის ბინები, სადაც ხოლერით ავადმყოფნი იყვნენ. სახლებსა და ლოგინს დეზინფექცია უყვეს. მცხოვრებთ დარიგება მისცეს, თუ როგორ უნდა ებრძოლონ ხოლერას.

---

კი გლეხთა აბობოქრებული ტალღა ანგრევდა და სპობდა იმ ნაამაგდარს, რომელიც ხვალ, ვინ იცის მას უნდა დარჩენოდა. რუს მარქსისტების ბრმა მოთაყვანე და ერთად-ერთ პარტიის ცენტრალ ორგანოს დირექტივების ცხოვრებაში პირწმინდად და ხანდაუზმელად გამტარებელი დასელები გაიტაცა საერთო პოლიტიკურმა ლოზუნგებმა და დაავიწყდათ, რომ მათ გურული გლეხის გულში შესძლეს ცეცხლის დანთება არა იმიტომ, რომ ბოგდიხანის სამეფოში ჩინელი გლეხიც გაჭირვებას განიცდის, არამედ და მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველი გლეხის განსაკუთრებულმა მდგომარეობამ წარმოშვა ეს მოძრაობა, რომლის ნამდვილ მიზეზს ნაწილობრივად ამჟღავნებდნენ დასელები და მთელი სიმართლე კი ცხრა კლიტულში იყო გადამალული. ამ გარემოებამ გურული გლეხის ფსიხიკა რაღაც უჩინარის ძაფებით შეაჩვია საერთო სახელმწიფოებრივ საკითხების რკვევას და ავიწყდებოდათ ადგილობრივი ეროვნული მომენტი წარმოებულ ბრძოლისა. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი მთავრობა გურულთა მოძრაობას ქართველთა საქმედ აცხადებს. უკან გამობრუნებულ კრიმ-გირეის ხმა აღარ ისმის. მისი მოხსენების შესახებ ცნობები კანტი-კუნტად იბეჭდება და ბოლოს თვით ეს დიდი მოხელეც შორდება პოლიტიკურ ასპარეზს. გურულთა მოძრაობა ქართველთა საერთო მიდრეკილებად სცნო ახლად დანიშნულმა მეფის ნაცვალმა და მით რაიმე რეფორმების იმედიც მოისპო. განსაკუთრებულ ეროვნულ ხასიათის მწვავედ წამოყენებულ მოთხოვნილებებით ქართველი ერი გრ. ვორონცოვ-დაშკოვს არ დახვედრია, თორემ მოსალოდნელი იყო, რომ სომეხთა მსგავსად ქართველნიც ეღირსებოდნენ ზოგიერთ შეღავათიან რეფორმებს საეკლესიო და სასკოლო საკითხთა გადაჭრის საქმეში. ქართველ ერს ვორონცოვის მეფის ნაცვლად განწესების დროს არ ჰქონდა შემუშავებული მინიმუმი იმ საერო ხასიათის მოთხოვნილებათა, რომელნიც სახალხო მოძრაობამ წარმოშვა. ჩვენ ვამბობთ ქართული ეკლესიისა და სწავლა-განათლების საკითხის შესახებ. დღეს არავისთვის საეჭვო აღარაა ის, რომ ქართველ სამღვდელოების ავტოკეფალურ მიდრეკილებამ განსაკუთრებით 1905 და შემდეგ წლებში იჩინა თავი. ეს იყო საერთო ზრახვათა გამომხეურების ხანა და სამღვდელოებამაც ისარგებლა ამ გარემოებით. ქართული ეკლესიაც ხომ ვორონცოვის ჩამოსვლის დროს ისეთსავე მდგომარეობაში იყო, როგორც სომხებისა, მაგრამ ერთი იბრძოდა უფლების აღდგენისათვის, მეორეს კი ეს შეგნება, გაბატონებულ ერთან ერთმორწმუნეობისა გამო ნაკლებად ჩამოყალიბებული და გარკვეული ჰქონდა. სკოლის საკითხიც საქართველოში მრავალის მხრით დამოკიდებულია საეკლესიო ცხოვრებასთან. ამ მხრით სამრევლო სკოლებს ხომ დაუფასებელი ამაგი მიუძღვით ქართული ენის წინაშე. საგულისხმოა, რომ ჩვენი სახელოვანი პედაგოგი იაკ. გოგებაშვილი სასულიერო უწყებიდან იწყებს და ამ უწყების სკოლებშივე გაჰყავს თავისი ცხოველი პედაგოგიური პრინციპები. ვორონცოვის დროს ამ მხრით დიდი ნაბიჯი იყო წინ გადადგმული. ძლეულ და შეჩვენებულ იქმნა გადაგვარებული მუნჯური მეთოდი ბ-ნ ლევიცკისა და მით ქართველმა სკოლამ ცოტათი თავისუფლად ამოისუნთქა, ძირითადი რეფორმა კი ჯერ შორს იყო, ისე როგორც ქართულ ეკლესიას ვერ უშველა გაბატონებულ ერთან ერთმორწმუნეობამ და ისიც სასკოლო საკითხთან ერთად მომავალში ეძებდა ხსნას. ამ მომავლის ძიებაში ქართველ ინტელიგენციის ჯგუფების შემოქმედებას გაერთიანების იერი არ ჰქონდა და არც კი ესმოდათ—თუ რა სახეს მიიღებდა შემდეგში მათი მოღვაწეობა სამშობლო კერის კეთილდღეობისათვის. ამ დროს დასავლეთ „კოლხიდის“ ერთ, მანამ უჩინარ კუთხეში, გაისმა ხმა სოციალ და პიროვნების უფლებათა ალსარებისა. მას მოჰყვა მთელი საქართველოც და ამგვარად იშვა მოძრაობა, რომელსაც ჩვენ „მიწის უფლებისათვის ბრძოლა“ დავარქვით.

ამ ბრძოლას და მის წარმოებას მრავალი მემატიანე დიდის გულისყურით მოეკიდება, დაკვირვებით შეისწავლის თანდათანობით წარმოებულ ბრძოლის მეთოდებს,

**მუდამ რიდი და შიში, მაშინაც კი, როცა ჰაერში თავისუფლებისა და ძმობა-ერთობის ჰიმნი გაისმის.** ეს იყო დამახასიათებელი ქართველთა მეცხრამეტე საუკუნის ისტორიისა და ამ სენს ვერ ასცდენ ჩვენებური დასელები მეოცე საუკუნის დასაწყისშიაც. გურიის სახალხო მოძრაობა ამის უტყუარ საბუთს იძლევა.

(გაგრძელება იქნება)

**დ. არონიშიძე.**

**◆ გამანთავისუფლებელმა კომიტეტმა** თბილისის სამხედრო უფროსისა და მთავარ კომიტეტის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა სხვა და სხვა დაწესებულებაში მოსამსახურენი რიცხვით 400 კაცი ომში გაწვევისგან გაანთავისუფლონ.

**◆ ქალაქის თვითმართველობამ** ბაქოში თავისი აგენტი გაგზავნა სხვა და სხვა სანოვაგის საყიდლად.

**◆ ვატმან-კონდუქტორების განთავისუფლება.** ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ქალაქის კომიტეტის წინაშე, რომელსაც დავალებული აქვს ჯარში გასაწვევთა შეღავათის მიცემა მომავალ წლის 1 იანვრამდე, შეღავათი მისცენ ვატმან-კონდუქტორებს, ვინაიდან ქალაქი შესაძლოა უტრამვაიოდ დარჩესო.

**◆ თავშესაფარების დაარსება.** ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობის დავალებით გაემგზავრა სოხუმს გამგეობის წევრი ნ. ნაკაშიძე მოსალაპარაკებლად ადგილობრივ გამგეობასთან სოხუმის სკოლასთან თავშესაფრის დაარსების შესახებ ომში დაღუპულ შვილთათვის. ამნაირივე თავშესაფრები არსდება ბათომსა და ბაქოში. ამ საქმისთვის 24 ათასი მანეთი უკვე გადაცემული აქვს წერა-კითხვის საზოგადოებას ომში დაზარალებულთა მთავარი კავკასიის კომიტეტისაგან,

**◆ ქართულ მოღვაწეთა პანთეონის** პროექტები. ქ. შ. წ.-კ. ს. გამგეობამ გუშინ გადასცა ქართულ ხელოვანთა საზოგადოებას გადასათვალიერებლად და იმ ნაკლის შესავსებად, რომელიც ჟიურის ოქმში არის აღნიშნული, რომ პანთეონის შენობა ნამდვილ ქართულ გეგმაზე აშენდეს.

**◆ ქართლ-კახეთის** თავადაზნაურობის წინამძღოლთა და დეპუტატთა საკრებულომ დაადგინა—გადაიხადოს პანაშვიდი განსვენებულის ეკატერინე ივანეს ასულის სულის მოსახსენებლად და მთელის კრებულით დაესწროს პანაშვიდებს და დაკრძალვას.

**◆ კოოპერატივის კავშირში.** კოოპერატივის კავშირის თავმჯდომარემ ბ. კანდელაკმა შუამდგომლობა აღძრა მიწად მოქმედების დეპარტამენტის რწმუნებულის ბ. შაშკოვსკის წინაშე, რათა უშუამდგომლოს კავშირს მეფის ნაცვლის წინაშე სესხის გაღებაზე და ვაგონების მიწვდაზე კოოპერატივის მოქმედების დასაწყებათ, ვინაიდან კავშირს 31 ათას მანეთის ზარალი მოუვიდა თბილისის მაღაზიების თავდასხმის დროს.

**◆ დაკარგული ჯარისკაცი.** მე-227 სათადარიგო ბატალიონის, მეოთხე როტის ჯარისკაცი არჩილ გრიგოლის ძე გძელიძე და ძმა მისი 220 სარატოვის რაზმის (დრუჟინის) მესამე როტის ჯარისკაცი ტარასი გრიგოლის ძე გძელიძე ამ უკანასკნელ დროს თავის შესახებ არავითარ ამბავს არ იტყობინებიან. უმორჩილესად სთხოვენ, თუ ვინმემ იცის მათ შესახებ რაიმე, შეგვატყობინონ შემდეგი მისამართით: თბილისი, ველიკოკნიაჟესკაია სახლის № 58, ლეონტი გძელიძეს.

**◆ ქალაქთა კავშირში.** ქალაქის მოურავის მოადგილემ ლტოლვილთა მომწყობ მთავარ წმუნებულის გენ. თამამშევისაგან ერევნიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: „26 მკათათვიდან მთელი ვანის ოლქის მცხოვრებნი რიცხვით 30 ათას სულამდე ოთხი დღის განმავლობაში დასტოვეს ქალაქი და მის მიდამოები და დაიძრნენ იგდირის გზით. თავშესაფარის ობოლთა და ავათმყოფთა რიცხვი 300 სულს უდრის. სადამოთი გამოზიდულ იქმნა სოგორის დაწესებულებანი. სურსათს ორი დღის განმავლობაში ლტოლვილნი სოგოსის საწყობიდან. გზა და გზა საკვები სადგურებია გამართული და ფქვილს ურიგებენ. ჯანიბში სავადში, და ყიზილ-დიზეში სამკურნალო სადგურებია მოწყობილი. ლტოლვილთა ქონების გადმოსაზიდათ მიღებულია ზომები. ამ ჟამად 10 ათას ლტოლვილამდე ერევნის გუბერნიაში მოვიდა. დანარჩენები არცაპისა და ბაიაზეთის ოლქებში არიან დაკავებულნი. დასასრულ თვის დეპეშისა, გენ. თამამშევი სთხოვს მოაწოდოს ფქვილი და სანოვაგე. აგრეთვე საქველმოქმედო საზოგადოებასთან შეთანხმებით დაუთმონ იგდირის საწყობიდან სოგორს 5 ათასი ფუთი ფქვილი.

**◆ ხარფუხის კლუბი.** ოთხშაბათს, გაიმართება ქართული წარმოდგენა. წარმოდგენაზედ შესვლა უფასოა.

**◆ თბილისის დედათა საეპარქიო** სასწავლებელში განმეორებითი გამოცდები მოხდება 22—24, ხოლო მისაღები, უმცროსს მოსამზადებელში და მეხუთე კლასში, 25—27 მარიამობისთვეს.

---

სოფელ კულაშში გარდაიცვალა

# თ—დი არჩილ სიმონის ძე მიქელაძე

რომლის დაკრძალვის დღე არის დანიშნული 11 ამა მარიამობისთვეს 9 საათზე სოფელ კულაშში, რასაც მწუხარებით აუწყებენ მეულლე მისი კნ. სოფიო მარშანიას ასული, ქალიშვილი მარიამი და სიძე თ-დი გიორგი ბესარიონის ძე დგებუაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

---

**ველისციხე.**

ველისციხის ინტელიგენციამ განიზრახა დაარსოს ადგილობრივად თბილისის საეთნოგრაფიო საზოგადოების განყოფილება.

**ჩოხატაური.**

როდესაც ადგილობრივ მცხოვრებთა და ვაჭართა წარმომადგენლებმა სანოვაგის ნიხრი შეიმუშავეს, ყველას უხაროდა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მადა გახსნილ ვაჭრებს ეს არ მოსწონებიათ და ბევრმა საჭირო სანოვაგე გადამალა. მაგალითად, შაქარი სრულიად აღარ მოიპოვება.

— ახლოვდება მარიამობისთვის 15 და ხალხი რაღაც ფაცი-ფუცშია. ყველა თავის საქმეს აწესრიგებს, სარჩოსაბადებელს აგროვებს, რათა სახლში დარჩენილ ქალებს, ბავშვებს და მოხუცებულებს არ მოშივდეთო. მაგრამ რა მოგროვდება იქ, სადაც თითქმის ყოველისფერი მოსპობილია!

— ადგილობრივი ბოქაული სხვაგან გადიყვანეს, ხოლო მის ადგილს ქ. ოზურგეთიდან გადმოიყვანეს ბოქაული ჩიკვაიძე.

**ქუთაისი.**

გიმნაზიელების ხელმეორედ გამოცდა. თანახმად ქუთაისის ქართული გიმნაზიის პედაგოგიური რჩევისა სასწავლო ოლქს ნება დაურთავს, რომ აგვისტოს დამლევს ხელმეორეთ გამოიცადონ დეპუტატის თანადაწრებით მე-6 და მე-7 კლასების ის მოწაფენი, რომელთაც ამ წლის მაისში გამოცდა ვერ დაიჭირეს.

**დ. ზესტაფონი.**

— აქაურ საელექტრო სადგურში შესულა ს. დილიკაურის მცხოვრები სალაძე და უცაბედათ დინამო-მაშინას წასწყვეტია, რომელსაც შეუტანცნია დიდს თასმის ქვეშ. მესამე დღეს გარდაიცვალა.

— ზესტაფონის კლუბის დარბაზის შეკეთება უკვე დამთავრებულია. გადიდებულს თეატრში წარმოდგენების გამართვა დაიწყება.—ზესტაფონელებს მარიამობისთვეში უნდათ მიიწვიონ ჩვენი წყნარი მუშაკი თეოფილე ხუსკივაძე 35 წლის იუბილეს გადასახდელად.

# სამძიმრის დეპეშები

**ქუთაისი.** ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკი გულითადად სწუხს იშვიათ ქართველ ქალის, სამშობლო ქვეყნის გაჭირვების შემგრძნობელის, ეკატერინე ივანეს ასულის სარაჯიშვილის გარდაცვალებას.

**ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკის გამგეობა.**

—

**ქუთაისი.** ქუთაისის სასწავლებლის მზრუნველი საბჭო ნათესავებს და ნაცნობთ გულითად მწუხარებას უცხადებს საქართველოს სასიქადულო ქალიშვილის ეკატერინე ივანეს ასულის დაკარგვის გამო.

**რაჟდენ დათეშიძე.**

# მობილიზაციის გარშემო

ფრიად სარწმუნო წყაროებიდან გადმოგვცეს მოლაშქრეების გაწვევის შესახებ. მოლაშქრეების გაწვევა ამ წესით მოხდება: **პირველი ხარისხის მოლაშქრეები (წითელ ბილეთიანები) 1893 წ.—1916 წლამდის უნდა გამოცხადდენ 18 აგვისტოს, მეორე ხარისხის მოლაშქრეები (ლურჯი ბილეთიანები) 1911 წ. 1916 წლამდის უნდა გამოცხადდენ 28 აგვისტოს; ხოლო 9 სექტემბერს უნდა გამოცხადდენ მეორე ხარისხის მოლაშქრენი (ლურჯი ბილეთიანები) 1901 წლიდან 1911 წლამდის.** („ახ. კვალი“).

**ჯარში გაწვევა** ხოლო სხვა ცნობით პირველ ხარისხოვანნი (წითელ ბილეთიანები) უნდა გამოცხადდნენ 18 მარიამობისთვეს, მეორე ხარისხოვანნი (ლურჯბილეთიანები) 27 მარიამობისთვეს, ხოლო უფროს წლოვანნი მეორე ხარისხისა—10 ღვინობისთვეს.

# ჯარში გაწვეულთა საყურადღებოდ

თბილისის სამხედრო უფროსი აცხადებს პირველ და მეორე ხარისხოვან მოლაშქრეთა საყურადღებოდ, რომ იგინი მოვალენი არიან გამოცხადების დროს თან იქონიონ მოწმებები, რომლის მიხედვითაც ისინი განათლებისა, წოდებისა და ხელობის კვალობაზე დაყოფილ იქმნებიან ხარისხებად. მოგვყავს სია სხვა და სხვა ხარისხისა:

1) უმაღლეს საზოგადო განათლება მიღებული, 2) საზღვარ-გარედ უმაღლეს განათლება მიღებული, 3) უმაღლეს სატეხნიკო განათლება მიღებული, 4) უმაღლეს საექიმო განათლება მიღებული, 5) საშუალო დამთავრებულ განათლება მიღებული, 6) მეორე ხარისხის განათლება მიღებული, 7) ის პირნი, რომელთაც მწერლის ადგილის დაჭერა შეუძლიათ, 8) მხაზავები, 10) ფერშლები, 11) ბეითალი ფერშლები, 12) ტეხნიკოსები, 13) ელექტრო-ტეხნიკოსები, 14) მექანიკოსი, 15) ელექტრო-მექანიკოსი, 16) ფოტოგრაფები, 17) შოფერები, 18) ავტომობილის შემკეთებელი მემანქანე, 19) მემანქანენი, 20) მემანქანეთა თანაშემწენი, 21) „კაჩეგარები“, 22) მექვაბენი, 23) ლითონის ჩამომსხმელი, 25) მეთუნუქენი, 25) ზეინკლები, 26) ხარატები, 27) სახლის მხურავები, 28) ქვის მტვრეველნი, 29) მჭედლები, 30) დურგალნი, 31) ხის ამომჭრელნი, 32) ხურო, 33) შპალიერის გამკვრელი, 34) მღებარები, 35) მებოჭქენი, 36) ურმის მკეთებელნი, 37) მეთოფენი, 38) თერძნი, 39) მეჩექმენი, 40) სახლის მლესავი, 41) კალატოზები, 42) მეთასმენი, 43) მებაღენი, 44) მებოსტნენი, 45) მეწისქვილენი, 46) დალაქები, 47) მზარეულნი, 48) მუსიკოსები, 49) „დესიატნიკები“, 50) ინჟინერ-კონდუქტორები, 51) ინჟინერი-ზედამხედველნი, 52) „მონტიორები“ და 53) ის პირნი, რომელთაც კარგად იციან ინგლისური და ფრანგული ენები.

ის პირი, რომელიც მსახურობდა მთავრობისა, საზოგადო, ან კერძო დაწესებულებაში მოვალეა იქონიოს მოწმობა იმისა, თუ რა თანამდებობა ეჭირა ამ დაწესებულებაში. ამას გარდა იქონიოს სამხედრო საკრებულოდან მიცემული ბილეთები, ან მისი დუბლიკატები.

# ტყვეთა ხსნისათვის

„ნუ ვინ თავისასა ხოლო ეძიებნ, არამედ მოყუსისაცა თვითეული“.

(კორინთელთა).

ამ დღეებში გაზეთებში დაისტამბა ჩვენთვის მეტად საყურადღებო წერილი —თხოვნა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მიმართ ვინმე ყოფილ სამხედრო ტყვის ტოპელბერგის. ეს ჩვენთვის უცხო სათნო ადამიანი მოგვითხრობს, თუ რა განსაცდელში იმყოფებიან ჩვენი ძმები და შვილები, ქართველი სამხედრო ტყვეები, ავსტრიაში. გერმანია-ავსტრიის სამხედრო უწყებას ქართველ ტყვეებისათვის მოუთხოვნია ღალატი—მტრის ჯარში ჩაწერა და რუსეთის წინააღმდეგ ომში მონაწილეობის მიღება. ქართველები (რიცხვით 1000 კაცი) ამ ავანტიურას არ დათანხმებიან და ამის შემდეგ გაბოროტებულ მთავრობას მათ წინააღმდეგ უკიდურესი სასჯელისათვის მიუმართავს, შეუმცირებია ისედაც არა საყოფი კერძი და ამ რიგად ურჩ მამაც მხედრებისათვის მიუსჯიათ წამება—შიმშილით სიკვდილი. ამის მეოხებით ათასი ქართველიდან სამასზე მეტი გაძვალტყავებული ქართველი ფილტვებ დაზიანებული საავადმყოფოში წევსო (მოგვითხრობს ბ-ნი ტოპელბერგი). მუდმივი შიმშილობის გამო ყოველ დღიურად ექიმებთან გასასინჯათ მიდიან 75—100 ქართველი ტყვე, საბოლოოდ დასუსტებული, ბევრი უკვე დაჭლექებულა, მაგრამ ჭლექიანთა თავშესაფარშიაც (ბარაკში), თუ ვინმე არ მოკვდა, ადგილი არ აქვთ. „ისინი (ქართველი ტყვეები) უფრო ლანდებს გავდნენ, ვიდრე ცოცხალ ადამიანებს. ქართველების წარმომადგენლებს იმედი აღარ აქვთ მათი გამობრუნების, არავინ ფიქრობს თუ ისინი ცოცხალნი სამშობლოში დაბრუნდებიან... **იმათ უნდათ პური, მხოლოდ პური.** მათ უნდათ არ უნდათ, ისინი ამაზე აღარ ფიქრობენ, მათ უნდათ მხოლოდ შიმშილს თავი დააღწიონ, **ღვთის გულისათვის დაეხმარეთ მათ,** ეს არის ქართველი ხალხის ვალი“ გვამხელს უცხო ადამიანი და გვირჩევს ამანათის (посылка) სახით კვირაში ერთხელ მაინც გავაგზავნოთ თითო ოჯახმა თითო გირვანქა სუხარი (**თუ ვის სახელზე და** რა მისამართით გაიგზავნოს დაბეჭდი-

ლია „თან. აზრი"-ს 169 ნომერში). ეს თხოვნა—განცხადება მიმართულია, როგორც წინად აღვნიშნე ქართულ საქველმოქმედო გამგეობის მიმართ, მაგრამ ნუ-თუ მარტო საქველმოქმედო საზოგადოების ვალია ჩვენი ტყვეების მიხედვა. არა და არა! ბ. ტოპელბერგი სამართლიანად მოუწოდებს მთელ ქართველ ერს და ამბობს, რომ ეს ვალია მთელი ქართველი ხალხის. „მე ყოველივე ვნახე და არ შემიძლია გავჩუმდე"-ო, ბრძანებს ტოპელბერგი, მით უმეტეს არ გვმართებს ჩვენ დუმილი, სხვისი ცქერა. იქ უცხოეთში, იარაღაყრილი ჩვენები, ჩვენი სისხლ-ხორცები შიმშილით იხოცებიან და ნუ თუ ამ დროს ჩვენ ლუკმა ყელში არ უნდა გაგვეჩხიროს, შხამათ არ შეგვერგოს! —მართალია ყველასი ვალია მშიერის ჭმევა, მაგრამ ყველაზე მეტად ისევ თავისიანებმა, ისევ ჭირისუფლებმა უნდა მიხედონ თავიანთ გარდახვეწილ ტყვეებს... მიმძიმს თქმაც, მაგრამ არც გაჩერება შემიძლია, სხვაგან რა ვიცი და გურიაში ჯარის-კაცის მშობლები და ცოლ-შვილები იღებენ ხაზინიდან შემწეობას—ზოგჯერ იმდენსაც, რომ ჯარის-კაცი, ვისაც არ ჰყავს, მათ შენატრის, ცხადია ყველაზე ვერ ვიტყვით, მაგრამ ბევრის ცოლები ამ შემწეობას, ამ მისი ქმარის სისხლს - სიცოცხლეს, ზიზილ-პიპილებში ხარჯავს, ბევრი საავარაკოთაც (საჰაეროთ) წაბრძანდა, ამდენხანს ვერ გავამტყუნებდით, რადგან სწამდა, (ვისაც არ სწამდა—ვაჯერებდით და მით ვანუგეშებდით) რომ ევროპაში ევროპიელები ტყვეს შიმშილით არ მოჰკლავდნენ, ახლა-კი გზაჯვარედინზე უნდა ვიყვიროთ, რომ მათიანები იქ შიმშილით იხოცებიან, დაუყონებლივ უნდა შესდგეს სიები იმ ტყვეების, ვინც ავსტრია-გერმანიაში იმყოფებიან და მათ ჭირისუფლებს უნდა გავაგებინოთ ნამდვილი ამბავი, ვისაც შეძლება ხელს უწყობს, იმას უნდა ვასწავლოთ, როგორ მიაწოდოს სუხარი და ვისაც არ შეუძლია, იმათ მაგიერ ქართველმა ხალხმა უნდა მიხედოს. „ისმინე ერო ჩემო და გიწამო შენ", დავით წინასწარმეტყველის სიტყვით გვეუბნებიან უცხოეთიდან ჩვენი ქვეყნის მშვენება ვაჟები. და ჩვენ ნუ ვიქნებით ყრუ და ნუ ვათქმევინებთ ბეჩავებს: „ჰღაღადებდეს და არავინ იყო მაცხოვარ და არა ისმინა მათი". ეს საქმე სხვა ქართულ საქმესავით არ წაიყრუება: საქველმოქმედო საზოგადოებას ყველა პროვინციაში აქვს თავისი განყოფილება და აი ამ განყოფილებას უნდა დაეკისროს სიების შედგენა და მშიერისთვის, **მხოლოდ პურის მოწოდება.** თავს ნუ ვიკატუნებთ, თითეული გლეხი მზათ არის თავის მკვდარი შვილის (ჯარისკაცის) ტირილ-ოლაპზე დახარჯოს 5—10 თუმანი და მეტიც და თუ კი დავაჯერებთ (ნამდვილს გავაგებინებთ), რომ მისი შვილი შიმშილით კვდება, მრწამს, რომ უმეტესობა თვით მიხედავს მის „ქოჩორა—ბიჭს".

საჭიროა ქართველმა გაზეთებმა კვირაში 2—3 ჯერ პატარა მოწოდება და მისამართი ბეჭდოს, მასწავლებლებმა, მღვდლებმა და ყველა შეგნებულმა კი ყველას გადასცეს, ვისაც შვილი ჰყავს ტყვე, თუ რა მდგომარეობაშია და ეჭირვება მის შვილს, ყველამ კი ჩვენ ჩვენი წილი გამოვიღოთ და მივაწოდოთ საქველმოქმედო საზოგადოებას ამ წარწერით: „ქართველ სამხედრო ტყვეების **პურისათვის**".

აპ. წულაძე.

P. S. საქ. საზ. ოზურგეთის განყოფილებას ამ დღეებში ამის შესახებ სხდომა ექნება, როგორც გადმოგვცემენ ავსტრიაში ძლიერ ბევრი სამხედრო გურული ტყვეები ყოფილა თურმე.

აპ. წ.

## კახეთის აპ-არგი

ვინც სოფლის ცხოვრებას დაჰკვირვებია, მისთვის ანბანურ ჭეშმარიტებას შეადგენს, რომ გაუნათლებელი მამასახლისი მწერლის ხელში იგივეა, რაც ცხენი მხედრის ლაგმის ქვეშ. მწერალი სოფლისა, მოუმზადებელ მამასახლისთან ყველაფერია. იგია მამასახლისიც, მსაჯულიც და მმართველიც სოფლისა. მის გემოვნებაზედ და ქეიფზედ კეთდება ყველაფერი სოფელში. ამას კარგა ხანია ჰგრძნობს სოფელი და სხვას თან ერთად ესეც უნდა ჩაითვალოს ერთ-ერთ მიზეზად, რომ ბევრს სოფელში ამ უკანასკნელ არჩევნების დროს, ინტელიგენტები აირჩიეს მამასახლისებად. ახლა ინტელეგენტ ძალებზედ ამყარებს სოფელი ხსნას. მის ხელში ისე აღარ გაიფლანგება სოფლის ქონება, ისე აღარ გაიყვლიფება გლეხი, როგორათაც აქნობამდე უვიც მამასახლისების ხელში იყო. ამ იმედებით აღჭურვილნი ენისლის, საბუის, გრემისა, ალმატის და აღდგომის სოფლის გლეხებმა ყრილობაზედ ერთხმად გადასწყვიტეს: ეთხოვოს ი. ი. ჯორჯაძეს რათა თავს იდვას ეს თანამდებობა, რაზედაც ი. ი. ჯორჯაძემაც თანხმობა განუცხადა. მოხდა სასწაული: ი. ი. ჯორჯაძე გუბერნატორმა არ დაამტკიცა მაშინ, როდესაც იმავე პირობებში მყოფი შილდის საზოგადოების მამასახლისი დამტკიცდა.

ამ შემთხვევაში მომრიგებელ-შუამავალს ბევრი შეუძლიან. მამასახლისის თანამდებობას პირდაპირ იგი განაგებს და მის დამტკიცება-დაუმტკიცებლობაში დიდი ცვლილების შეტანა შეუძლიან. მის ზნეობრივ მოვალეობას შეადგენს იზრუნოს მინდობილ სამწყსოზედ და შესაფერი მწყემსიც მიუჩინოს საზოგადოებას. იგი გულით და სულით უნდა ეცადოს მხარი დაუჭიროს საზოგადოებას. მაშინ აღარც ასეთ უკულმართობას ექნებოდა ადგილი. საქმე შემდეგშია: გაზაფხულზედ თავ. ჯორჯაძეს მოჰპარეს ზაბიამანი. იგი აღმოაჩნდა ერთ გლეხ-კაცს ს. ალმატში. შეიპყრეს ქურდები. ქურდების შემნახველი კი, რომელთანაც ზაბიამანი აღმოაჩინეს თავისუფალი დარჩა. განვლო დრომ. ქურდების შემნახველიც ჩასვეს ციხეში. მას ბრალდება მამასახლისისთვის 100 მ. ქრთამათ მიცემა და ჩადენილ ქურდობიდან განთავისუფლება. პასუხის გებაში არის მიცემული აგრეთვე მამასახლისიც. მამასახლისის სინიდისი მექრთამეობის მხრივ სპეტაკია. მას პატიოსანი და სინიდისიანი კაცის სახელი აქვს დამსახურებული საზოგადოებაში. იგი მსხვერპლი გახდა თავის უვიცობისა და ხელმძღვანელისა. საჭიროა, ვის ხელითაც გამოძიება სწარმოებს, მეტი სიფრთხილე და დაკვირვება გამოიჩინოს, ვინაიდგან შეიძლება სრულებით უდანაშაულო ადამიანი დაისაჯოს.

ლეო.

## დაბა-სოფლები

**ს. მატან-მარილისი** (თიანეთის მაზ.). ს. მატან-მარილისი როგორც სიდიდით ისე სიმდიდრით თუ მეტი არა, ნაკლები ადგილი არ უჭირავს თიანეთის მაზრის სოფელთა შორის. სამწუხაროა, რომ ამ სოფელზე ხმას არავინ იღებს, ცოცხალია თუ მკვდარი, არსებობს თუ არა, ამის შესახებ არავინ არასფერს ამბობს. ქართული პრესა, რომლისთვისაც თითქმის მთელ საქართველოს სოფლები ნაცნობია, გამორჩა უყურადღებოდ ეს სოფელი. ამ სოფელსაც, როგორც სხვებს, აქვს თავისი ჭირვარამი, ბუნებით მდიდარი ფაქტიურად გალატაკებულია. სიღატაკეში ხელს უწყობენ სოფლის ჩრჩილები—ჩარჩები. სოფელი უპატრონოა, რომ მათი ალაგმვა შესძლონ. მართალია, აქ ოცისთავებიც აირჩიეს, მაგრამ ესენი გაუნათლებლები არიან და არ იციან რით და როგორ მიუდგენ სოფელს, როგორ დაახარონ მისი წყლულების. სამწუხარო ის არის, რომ ყველა ეს ჰხდება მაშინ, როდესაც სოფელს ჰყავს საკმაოდ შეგნებული პირები. ეს პირები ლაყბობის მეტს არას აკეთებენ, და მოგეხსენებათ უქმი ლაყბობა და საქმიანობა შორი-შორსაა. სოფელს შველა ეჭირვება, დახმარება, პრაქტიკული ნაბიჯი. გავიხედოთ, რა ხდება სხვაგან. საქართველოს დაბა-სოფლებში უხვად მოჰფინეს წვრილი კრედიტის განყოფილებანი, საკოოპერაციო მაღაზიები. მივბაძოთ მათ და იქნება მაშინ ასე საწუწნავ მასალად არ მივაჩნდეთ სოფლის ჩრჩილებსა.

გულშემატკივარი.

—

**ჭიათურა.** კარგა ხანია რაც აქ გაჩნდა საქონლის ჭირი და მუსრს ავლებს, მაგრამ არავის ყურადღება არ მიუქცევია და არც არავითარი ზომები მიუღიათ ჭირის საწინააღმდეგოთ, რამაც გააძლიერა პირუტყვთა ჟალათი და მრავალ წვრილ ცოლშვილის პატრონს გამოაცალა ერთადერთი მარჩენალი იმედი—ხარები. იმის მაგიერ, რომ პირუტყვის მეპატრონეებს მოენახათ საშუალება და ეწამლებიათ ჭირიან საქონლიზა, ბაზარში გაჰყავთ და მით სურთ აიცილონ თავიდან ზარალი. ამას წინათ ბაზარში გამოყვანილი ხარი, რასაკვირველია, გასაყიდლათ უცბათ მოკვდა. თუ ეს აქ არადა სხვაგან მომკვდარიყო, ხორცი გაიყიდებოდა, როგორც ჩვეულებრივი, საქონლის ხორცათ, რაც ძლიერ საშიშიც არის ადამიანებისთვინაც. როგორც საქონელი, ფრინველებიც დახოცა, მაგრამ არც მის წინააღმდეგ არავითარი ზომაა. საჭიროა დაუყოვნებლივ მიექცეს ამას ყურადღება და მიღებულ იქნას ზომები...

პლატონი.

## წერილი რედ. მიმართ

**ქართველ გრიგორიანების გამო.**

ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში" მე-30 ნომერში დასტამბულია წერილი ქართველ გრიგორიანების შესახებ, პატივცემულ ივ. გომართელისა. მადლობა ღმერთს, რომ ეს საკითხი ჩვენი ინტელიგენციის ფართე წრეში ფეხს იკიდებს და რომ მას მოამაგეთ და მზრუნველებად ისეთი იდეური მოღვაწენი უჩნდება, როგორიც ბრძანდება ბ-ნი ივ. გომართელი. პატივცემული ავტორი საგულისხმიერო მსჯელობით და ფაქტების მერე ასე დაასკვნის: ეს კითხვები საშიში არის ჩვენი ტომისათვისო, ამას ყურადღება უნდა მიექცეს ქართველ საზოგადოებისაგან, თორემ მას ბოლოს ჩვენი ტომისათვის საშიში მდგომარეობა მოჰყვებაო.

მართლაც ქართველმა საზოგადოებამ ამ საკითხს სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს. ჯერ იგი დაკვირვებულ შესწავლის საგნად გახადოს და შემდეგ შესაფერი ენერგიული მოქმედება მიაყოლოს.

ბ-ნი გომართელი შიშობს, რომ უყურადღებობა და უმოქმედობა ამ სფეროში ქართველ ტომს დიდს უბედურობას დაატეხს თავზე. საჭიროა ვიცოდეთ, თუ როგორ დაიწყო ჩვენში ეს სახიფათო ხანა. ბ-ნ გომართელმა ორიოდე ნიმუში მოიყვანა, თუ რა წესით იქმნება ეს საშიში მდგომარეობა. მეც ჩემდა თავად რამდენიმე ცნობას მოვიყვან ამის შესახებ. ეს ცნობები ჩვენი ყოველდღიურ ცნობებიდან იქნება ამოკრეფილი. საინტერესოა ამ მხრივ ქართლ-კახეთის ყოველდღიურ ცნობების ქრონიკა. ეს ამბები ადგილობრივ რჩება, გაზეთებში არ იწერება და ჩვენი ინტელიგენცია, რომელმაც ჩვენი წარსულისა და ჩვენი ცხოვრების არა იცის-რა, ამ ფაქტების უცოდინარიც რჩება, მაშინ როდესაც ამათი ცოდნა ბევრს აუხელ თვალს და დაანახვებს იმ მეთოდს და სისტემას, რომელსაც სომხობა ადგია ქართველების გასასომხებლად ჩვენში.

ქალაქ თბილისის ახლოს, 10 ვერსზედ, სძევს სოფ. წყნეთი. ამ სოფელს ვახუშტიც მოიხსენიებს. აქ, ამ სოფელში სცხოვრობენ ქართველები და სომხები, მებატონე თავადები **ბეგთაბეგი**, ქართველ მეფეთაგან მიღებულნი და ამ სოფელში დასახლებულნი, XIV საუკ. ბეგთაბეგები გათავადებულ იქმნენ ქართველ მეფეთაგან და კიდევაც ებოძათ ქართველ გლეხებსაც. ამ სოფელში სომხის ეკლესია ძველადგანვე აღაშენდა და საქმე ისე მოეწყო, რომ სოფელში სომხის სჯულმა ქართველთა შორის გამრავლება იწყო. სოფლის სჯულს ბევრი ქართველი შეუდგა. დღეს ამ სინამდვილეს აჭეშმარიტებს ის გარემოება, რომ გასომხებულების გვარების უმეტესობა ქართულია, ძირეული ქართული.

ასე და ამ გვარათ, დღეს ამ სოფელში სცხოვრობს გასომხებულნი ბევრი ქართველი, ქართველი გრიგორიანები, ქართველები, რომელთაც მარტო სჯული მიუღიათ სომხის, ესე იგი ჩამომავლობით, ეროვნებით ქართველები, ხოლო სარწმუნოებით გრიგორიანები და ნამდვილი სომხის ჩამომავალნი სომეხნი. ყველა ამათი დედა ენა არის ქართული. სოფელში არის ორი საყდარი, ქართველთა და სომხთა, არსებობს აქვე სამინისტრო სკოლა, სადაც ბავშვებს ასწავლიან ქართულს, რუსულს და სომხებს სომხურს. რადგანაც ბავშვებმა სომხური ენა არ იციან, ამიტომ მათ სომხური ენის შესწავლა ერთობ უძნელდებათ. ამ სიძნელის გამო, ამავ სკოლაში აი რა ამბავი მოხდა. ხსენებულ სოფლის სკოლაში მსახურობს ერთი გლეხი, სომეხი, არ უწყით, თუ ვინ არის იგი, ნამდვილი სომხის შთამომავალი, თუ ქართველი გრიგორიანი. ამ კაცის ერთი ვაჟიც ამავ სკოლაში სწავლობს, რომელსაც სკოლაში ასწავლიდნენ რუსულ ენას, როგორც სახელმწიფო ენას და სომხურს, როგორც მათ სჯულის და ვითომც დედა. ენას ბავშვი სომხურის სწავლებას დიდათ ეწვალებოდა, ეს წვალება მისმა მამამ თავის თვალით ნახა თვით სკოლაში. ბევრი ფიქრის შემდეგ, ამ სკოლის მსახურმა კავკასიის სკოლების მზრუნველს ასეთი თხოვნა მიართვა.

ჩემს შვილს ჩვენს სოფლის სკოლაში ასწავლიან რუსულს და სომხურს ენას. ჩემმა შვილმა სომხური არ იცის, რადგანაც არც ჩვენ ვიცით, ჩვენ ყველანი ქართულ ენაზე ვლაპარაკობთ, ამიტომ ჩვენს ენათ ჩვენ ეს ენა მიგვაჩნია, ჩვენ ივის ამ ენის სწავლება არის საჭირო. ამიტომ ვითხოვ, რომ ჩემი შვილი განთავისუფლებულ იქმნას სომხური ენის სწავლებისაგან და მან ისწავლოს მხოლოდ რუსული, როგორც სახელმწიფო ენა, და ქართული, როგორც დედა-ენა.

მზრუნველმა თხოვნა შეიწყნარა და მასთან სკოლას სათანადო განკარგულებაც მისწერა. ამ მოწერილობამ სკოლის სომხის ტერტერასა და სოფლის მწერალს შორის უსიამოვნება გამოიწვია. ტერტერა მწერალს ჰკიცხავდა, თხოვნა თქვენი დაწერილიაო. მწერალი კი ბრალს იყრიდა, ჩემი დაწერილი არ არისო. ტერტერა ჰყვედრიდა იმაში უფრო, რომ თქვენ არ გინდათ, რომ ხალხმა თავის დედაენა შეისწავლოსო.

ამაზედ მწერალმა მიუგო, მათი ნამდვილი დედა-ენა ქართული არის და არა სომხურიო. ამაზედ მათ უსიამოვნება მოსვლიათ. ბოლოს ტერტერამ დაასმინა მწერალი სადაც ჯერ იყო, რომ იგი მთავრობის წინააღმდეგიაო. მწერალი იძულებული გახდა, სადაც ჯერ არს მოეხსენებინა, რომ ამ ტერტერამ თავის სოფლის ქართველთ შორის, ამდენი ქართველი ბავშვი მონათლა სომხურით, ამდენ ქართველს დასწერა სომხურათ ჯვარიო და ამდენი ქართველი დაასაფლავა სომხურათო. ნუ დაივიწყებთ იმას, რომ თვით ეს ტერტერაც ქართველი ტომის უნდა იყოს, რადგანაც ის გვარად ირემაშვილია, დღეს იერემიანცად არს წოდებული.

ამავ სოფლის ერთი სომხის ქალი შეირთო ქართველმა გლეხმა, ხელობით მენახშირემ. ამის ცოლი სომხის სკოლაში იყო ნამყოფი და ქმარს ეს გარემოება დიდათ ახარებდა, რომ ჩემმა ცოლმა მაინც იცის წერა-კითხვა თუ მე არ ვიციო. რამდენიმე ხნის შემდეგ, ამ კაცს სოფლიდან წერილი მოუვიდა და ეს წერილი მისმა ცოლმა კი ვერ წაიკითხა, რადგანაც ქართულათ იყო ნაწერი და მან კი სომხური იცოდა. ამ გარემოებამ დიდი საყვედურები გამოიწვია ქალის პატრონის წინაშე და ქალის ქმრის, ესენი იტყოდენ წყევლით, რაც საჭიროა ჩვენთვის ჩვენს სკოლაში იმას კი არ ასწავლიანო და რაც ჩვენთვის არ არის საჭირო, იმას კი ასწავლიანო. ბევრი წყევლა-შეჩვენების შემდეგ, შვილების პატრონმა დედამ ქართული ანბანის სწავლება დაიწყო.

სოფელ კასპის გლეხთა შორის სცხოვრობენ სომხებიც და ქართველებიც, დედა-ენა ყველასი ქართულია, სოფელს აქვს სამინისტრო სკოლა. აქ სწავლობენ ქართულად მოლაპარაკე სომეხთა შვილები, აქ ამათ ყველას ქართულ ენას ასწავლიან, ვინაითგან მათი დედა-ენა არის ქართული. დალაქიშვილის ბავშმა გაათავა სოფლის სამინისტრო სკოლა, მერე სხვა სკოლაში უნდა მიეცათ, ეს სხვა სკოლა იყო სომხის, რადგანაც ბავშვი სომხის სჯულის იყო. ბავშმა ეგზამენის დაჭერა დაიწყო, მაგრამ, რადგანაც იგი ქართული ენით ნასწავლი აღმოსჩნდა, ამიტომ გაგულისდენ, პატრონი გაჰკიცხეს, გალანძღეს და ბავშვი არ მიიღეს.

პატრონმა უთხრა ტერტერას: მამაო, რათა ჯავრობთ, ჩვენ ქართველები ვართ და ჩვენი ენაც ქართული ენა არის, ჩვენი სოფლის ხალხი სულ ამ ენით ვლაპარაკობთ, რადგანაც ამ ენით ვართ აღზრდილები, ჩვენი მამაპაპანიც ასე ყოფილან და თქვენ ახლა გვიბრძანებთ, რომ მაგ ენაზედ ლაპარაკს თავი გავანებოთო, ეს აბა როგორ შეიძლება, ჩვენ ამ ენას თავი როგორ დავანებოთ, როცა ამ ენის მეტი სხვა ენა არა ვიცით-რაო.

ასეთივე ამბები ხდება თბილისში ხშირად. 1913 წ. ერთი ხელოსანი, დურგალი ხელობით, სომეხი სჯულით, ეროვნებით ქართველი, მტირალი ვნახე იმის გამო, რომ მის ბავშვს ქართულ მოსამზადებელ კლასში ესწავლა, სომხური არა სცოდნიყო, მერე სომეხთა სკოლაში იჭერდა ეგზამენს, მაგრამ ბავშვი არ მიიღეს, ვინაიდგან მან სომხური არ იცოდა. მამამ იხვეწა, მიშველეთ რამე, ისევ ქართულ სკოლაში მივსცემ მოწაფეთ, ისევ ჩვენი ენა ისწავლოს, სხვა ენის სწავლების დრო ჩვენ არა გვაქვსო. მერე ეს ბავშვი მიიღეს ერთ ქართულს სამრევლო სკოლაში.

ასეთი მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანს, ნამეტურ უჭირდებათ ვაჭრობაში იმ ვაჭრებს, რომელთაც ქართული იციან. ამის მაგალითები ჩვენ ბევრი გვინახავს, რომ ქართულად კარგად მოლაპარაკე სომეხმა ქართული კითხვა კი არ იცის, ამავ დროს მათ კარგად გასაგებად არც სომხური იციან და სომხური გაზეთის და წიგნის წაკითხვა ხომ სულ არ ესმისთ.

ზ. ჭ.

## შეცდომის გასწორება

**ძველი ქართველის** წერილში დაბეჭდილია: რომელმა ერთმა ფაქტორმა მიიღო იმდენი გავლენა... უნდა იყოს: რომელმა ერთმა ფაქტორმა **მოიღო იმდენი გავლენა**..

დაბეჭდილია: აართვით საქართველოს ეკლესიას სარწმუნოება... უნდა იყოს: აართვით საქართველოს სარწმუნოება... და სხვ.

რედაქტორ-გამომცემელი
**სანდრო შანშიაშვილი**

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია [illegible])

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომის | სამგზ. | № 17, | 8.27 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 19, | 3.19 | დღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.23 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | № 4, | 7 „ | 58 „ | დილ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | № 3, | . 7 „ | 58 „ | საღ. |

**თუ გსურთ, მიმართეთ**

**ცნობის კონტორას**

**ი. თ. გვათუასას**

თბილისი, ვერის დაღმართი,
სახლი მელიქ აზარიანისა № 1

**რემინგტონზე რისამე დაბეჭდვა,**
**რემინგტ. სწავლა ამერიკ. წესით,**
**საქმის ქაღალდის დაწერა,**
**თხოვნების შედგენა,**
**საქმის და თხოვნის წარმოება,**
**ცნობების შეკრება,**
**მოსამსახურის შოვნა,**
**საკომისიო მინდობილობა,**
**ბინის გაქირავება,**
**ბინის შოვნა,**
**მამულის სყიდვა,**
**მამულის გასყიდვა,**
**მამულის დაგირავება,**
**მამულის იჯარით გაცემა** და სხვ.

**შუამავლობას ეს კონტორა გასწევს როგორც ქალაქელთა ისე ქალაქ გარეშელთათვის.**

ყველა საქმეს კონტორა სწრაფლ და პირნათლად ასრულებს.

◆◆ **ხელმისაწვდენ ფასებში** ◆◆

**მისამართი პროვინციელთათვის:** Тифлисъ, Верійск. спускъ И. Т. Гватуа, Справочная контора.

**საგალანტერიო მაღაზია**

**ერ. ივ. ჭავჭანიძისა და**

**ი. ი. გველესიანისა**

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

**იშოვება უოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:**

**ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი**

(101—წ.)

**საუკეთესო კახური**

**ღვინის საწყობი**

**ადამ ზურაბის ძის**

**ბერელაშვილისა**

**მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.**

(102—წ.)

**ქ. ბაქოში**

**ღვინით ვაჭრობა**

**„მელაანი"**

**თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.**

**იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები**

(112—წ.)

**ქ. თბილისში, ოლღას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია**

**„განათლება"-ში**

**იყიდება** ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი", „საქართველო", „ეშმაკის მათრახი", „თეატრი და ცხოვრება", „სახალხო ფურცელი", „ზვირთი", ჟურნ. „განათლება" კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი", „ორიზონი", „მშაკი" და „ხათაბალა".

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзѣ.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

**თევზის მრეწველნი**

**ძმ. ძეძველოვები**

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**დ. მაილოვის-ზვით**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**ჟუშინ**" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფორგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.